ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 9 ნოემბერი, 2020 №233 (8497) ფასი: 60 თეთრი

„ქრთამად შეაძლიეს 50.000 დოლარი“

თედორე გობეჯიშვილის გარდაცვალების საქმეზე მისი ნაციონალი მეგობრები აკაკი კობალაძე და აკაკი ხუსკივაძე დააკავეს

გვ.5

„უკან თუ დავიხევთ, საქართველოს დავკარგავთ“



გვ.2

Tornike Mandaria (RFE/RL)

პოლიციამ ცესკოსთან ოპოზიციის წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა

ხათუნა ლაგაზიძე: „ირაკლი კობახიძემ „ოცნებას“ ცელი გამოუსვა“

გვ.3

„არჩევნების აღიარებით ხელს შევუწყობთ „ოცნების“ მონსტრად ქცევას, რომელიც ყველას შეგვჭამს“

გვ.2

„გაერთიანებულ ოპოზიციას მისმა სიამ ხმები დააკარგვინა“

მამუკა გამყრელიძე: „არეულობა დღეს მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს“

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილმა ოპოზიციაში სუსტი რგოლის ძიება დაიწყო“

გვ.3

გიგა ბუკია: „ხელისუფლებას 2024 წლამდე ძალიან გაუჭირდება“

გვ.4

მამუკა ჭუსკაძე: „პატარა პარტიების ხმები „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაზე გადაანაწილეს“

გვ.4

კახეთში 6 კილოგრამზე მეტი ჰეროინი ამოიღეს

დაკავებულია ერთი პირი

გვ.5

ISSN 1987-9385

3 ნინო ლომჯარია: „ოცნებამ“ და ოპოზიციამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკება“

2 ირაკლი კობახიძე: „ოპოზიცია პარლამენტში შემოვა, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ“

5 სუსმა ხელისუფლების დამხობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

6 ჯო ბაიდენი აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი გახდა

„უკან თუ დავიხევთ, საქართველოს დავკარგავთ“

პოლიციამ ცესკოსთან ოპოზიციის წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა

გუშინ, 8 ნოემბერს, ოპოზიციური პარტიების ერთობლივი გადაწყვეტილებით, აქციის მონაწილეებმა ცესკოსთან გადაინაცვლეს, სადაც, მათივე განცხადებით, ვერავინ შევა და ვერავინ გამოვა.

ამასთან, როგორც ოპოზიციური სპექტრის სახელით, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე ნიკა მელიამ განაცხადა, ოპოზიციის გადაწყვეტილებაა, რომ ხალხი იქნება გარეთ სულ, ყველა ქალაქში, ყველა რეგიონში.

– 8 საათამდე ხელისუფლებას ჰქონდა დრო, რომ წამოსულიყო კომპრომისზე. ისინი გამოვიდნენ კონტაქტზე. ეს კონტაქტი შედგა ოპოზიციას და კობახიძე-თალაკვაძეს შორის და ბოლო ინფორმაცია არის, ხვალ იქნებ დაველაპარაკოთო.

სანამ შეხვედრა არ შედგება, არც ერთ ჩვენგანს არანაირი ჰიპოთეტური დაპირებისა არ სჯერა.

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ამას სჭირდება ახლა აღსრულება – ხალხი იქნება გარეთ სულ, ყველა ქალაქში, ყველა რეგიონში. ჩვენ ახლა ყველამ ერთად, ვინც ვართ და ძალიან ბევრნი ვართ, უნდა გადავინაცვლოთ და იქ დავრჩეთ და „კომენდანტის საათი“ დავუწესოთ ცესკოს შენობას – ვერავინ იქ ვეღარ შევა და ვერავინ გამოვა, სანამ არ ჩაინიშნება ახალი არჩევნები, – განაცხადა მელიამ.

ცესკოსთან შეკრებილი აქციის მონაწილეები, ერთ-ერთ შესასვლელთან აღმართულ რკინის ჯებირებს ხელებსა და ქვებს ურტყამდნენ.

აქტივისტები სკანდირებდნენ: „მონებო“, „ქურდებო“ და „გააღეთ“.

ცესკოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული იყვნენ სამართალდამცავები, მათ შორის სპეცრაზმიც. ტერიტორიაზე განათავსეს სახანძრო მანქანაც.

ცესკოს შენობას აქციის მონაწილეებისგან სწორედ პოლიციელთა ცოცხალი ჯაჭვი იცავდა.

მოგვიანებით პოლიციამ აქციის მონაწილეების დასაშლელად წყლის ჭავლი გამოიყენა. წყლის ჭავლის გამოყენება მას შემდეგ დაიწყო, რაც აქციის მონაწილეებმა ცესკოსთან აღმართული დამცავი ჯებირის გარღვევა სცადეს.

თამარ ჟვანიამ კი, ვისი გადაყენების მოთხოვნითაც აქციის მონაწილეები ცესკოს მიადგნენ, შენობა დატოვა.

❖ ❖ ❖

– ამ ქვეყანაში „გავრილოვის ღამე“ არ დასრულებულა და გრძელდება, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ეს ყველაფერი პასუხია იმაზე, რომ ხალხი ითხოვს პატიოსან არჩევნებს.

– ხალხი ითხოვს მართალ არჩევნებს, სამართლიან ცესკო-ს, ქვეყანაში არჩევნები ჩატარდეს და არა დაწერონ. ქართველი ხალხის უზენაესი ნება აღსრულდეს, რა ნებასაც მე გამოვხატავ, ის ნება აისახოს და არა დამიწერონ და დამცინონ, არა სულში შეურაცხყოფა მომაყენონ, მთელი ქვეყანა თანხმდება, რომ ამ ქვეყანაში არჩევნები არ ჩატარებულა. ბრძოლა იქნება ბოლომდე.

იქნება ბრძოლა თავისუფლებისთვის ბოლომდე. ყველა უნდა მოვიდეთ. „გავრილოვის ღამე“ ამ ქვეყანაში არ დასრულებულა და გრძელდება. ისევ კობახიძე, ისევ ანზორ ჩუბინიძე, ისევ გახარია, ისევ ივანიშვილი ანუ მათი კოლექტიური სახელია „გავრილოვები“, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ოპოზიციური ლიდერები მომიტინგეებთან ერთად ცესკოს შენობასთან ფეხით გაემართნენ. ცესკოსთან მომიტინგეთა მცირე ნაწილი იყო მისული, როცა პოლიციამ გაუფრთხილებლად დაიწყო წყლის ჭავლის გაშვება.

თვითმხილველის განცხადებით, ადგილზე დაძაბული ვითარება არ იყო, თუმცა წყალი გაუფრთხილებლად მაინც გამოიყენეს.

ყოფილმა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„წყლის ჭავლის გამოყენებას თავისი წესი აქვს! ეს არის დანაშაული, რაც ახლა ხდება“.

სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ მოუწოდა პოლიციას, შეწყვიტოს აქციის მონაწილეების მისამართით არაპროპორციული ძალის გამოყენება.

ალეკო ელისაშვილმა კი ასეთი განცხადება გააკეთა:

– ჩვენ თუ ახლა უკან დავიხევთ, ჩვენ დავკარგავთ საქართველოს, შესაბამისად, გინდა წყლის ჭავლი გვასხან, გინდა გვირტყან, საქართველოს არ დავთმობთ. თქვას თამარ ჟვანიამ, რომ გადადგა, თორემ აქ ასე მთელი ღამე გაგრძელდება, ჯარი კი ნუ დაგვახვედრეს, თამარ ჟვანია დაგვახვედრონ, რომელმაც მოიჭრა თავი საქართველოს წინაშე და მოიპარა არჩევანი. უნდა გადადგეს, სხვაგვარად არ დაწყნარდება არაფერი.

„7000 კაცი არა? წყლის ჭავლით რატომ დაერიეთ ამ „ორ კაკალ“ ხალხს აბა, თქვე ნაძირლებო? უკიდურესად შეშინებულია ივანიშვილი, უკიდურესად! ხოდა, დეე დასრულდეს“ – დაწერა ფეისბუქში ნიკა გვარამიამ.

„მთავარი არხის“ გამოთვლით, რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციას პიკის პერიოდში, დაახლოებით 45.000 ადამიანი ესწრებოდა. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ კი განაცხადა, რომ ოპოზიცია 12.000-მდე ადამიანის შეკრებას აპირებდა, მაგრამ ამდენი ადამიანის მობილიზებაც ვერ მოხერხდა.

ირაკლი კობახიძე: „ოპოზიცია პარლამენტში შემოვა, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ“

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, მე-10 მოწვევის პარლამენტი მრავალპარტიული იქნება და ამისთვის მმართველი გუნდი აქტიურად მუშაობს.

როგორც კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე „ინტერპრესნიუსის“ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ბარიერგადალახული პარტიების უდიდესი ნაწილი და ნაცმოძრაობის ნახევარზე მეტი პარლამენტში შევა.

– ამას უკვე დღეები გვიჩვენებს. გაირკვევა ყველაფერი უახლოეს მომავალში, გაირკვევა ის, რომ პარტიების უდიდესი ნაწილი და ალბათ ყველა პარტია, მათ შორის, ნაცმოძრაობაც, მთლიანად თუ არა, ნახევარზე მეტი მაინც შევა პარლამენტში. ეს არის დღევანდელი განწყობა, რაც არის ოპოზიციურ სპექტრში და ეს განწყობა აქციის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდება.

ფორმებს და მეთოდებს მე ვერ დაგიკონკრეტებთ, მაგრამ დაგიდასტურებთ იმას, რომ აქტიურად ვმუშაობთ მრავალპარტიული პარლამენტისთვის და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებაც ეს არის – ჩვენ, ყველამ ერთად ვიზრუნოთ იმისთვის, რომ საქართველოში შედგეს მრავალპარტიული პარლამენტი. ამ მიზანს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად მივაღწევთ.

რაც შეეხება პარტიების ყიდვას, გარწმუნებთ, რომ ნაცმოძრაობა იმ პარტიების უმრავლესობას, რომელთანაც დღეს აქვს მოლაპარაკება, ვერ იყიდის, – განაცხადა კობახიძემ.

„გაერთიანებულ ოპოზიციას მისმა სიამ ხმები დააკარგვინა“

მამუკა გამყრელიძე: „არეულობა დღეს მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, გამოქვეყნდა ფარული ჩანაწერი, რომელშიც სალომე სამადაშვილი უკმაყოფილებას არ მალავდა ნაციონალური მოძრაობის სიის მიმართ. რას იტყვით ამ სიის შედგენაზე?

– ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა და რაც იყო ძალიან ცუდი ამ სიასთან დაკავშირებით, არის ის, რომ სიის შედგენის პროცესი ერთპიროვნულად ხელში აიღო ნაციონალურმა მოძრაობამ.

– მაშინ რატომ დაირქვით ბლოკი, ან გაერთიანებული ოპოზიცია, თუ მარტო ნაცმოძრაობა იყო მთავარი და სიაც ერთპიროვნულად შეადგინა?

– რა თქმა უნდა, ასე არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ბოლოს ყველაფერი მაინც ასე დასრულდა. თავიდან გვქონდა შეთანხმება, თუმცა ეს პრინციპი თავიდან ბოლომდე დაირღვა. თავიდან იყო შეთანხმება ჩვენ სიაში მოხვედრაზე, მაგრამ არც ეს პირობა შესრულდა. 29-ე, ან 30-ე ადგილი რომ მიგვეღო, კიდევ მშვიდად შევხვდებოდით ამ პროცესს, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოვხვდებოდით თუ არა პარლამენტში, რადგან მე გამარჯვებულის სტატუსით მინდოდა პარლამენტში მოხვედრა და არა – დამარცხებულის და ოპოზიციის რანგში.

თუმცა ისე მოხდა, რომ უარი გვითხრეს ყველაფერზე. ასეთ დროს, ცხადია, პასუხისმგებლობის აღება იმ შედეგებზე, რომლებიც დადგა, ნამდვილად არ გვინდოდა. ყველას ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. მე ჩემი გზა მაქვს, მათ თავისი გზა აქვთ. ამიტომ არავითარი ვალდებულებები მე მათ წინაშე არ მაქვს.

– სალომე სამადაშვილი იმ ჩანაწერში საკმაოდ გაბრაზებული ჩანდა. პარტიის ლიდერების აზრიც არ გაითვალისწინეს? ერთპიროვნულად მიშას შედგენილი სია იყო?

– ვერ გეტყვით, ეს ვისი გადაწყვეტილება იყო. იქ რამდენიმე ადამიანი ღებულობდა მონაწილეობას. საკაშვილიც იყო, პოლიტსაბჭოც იყო, მერაბიშვილიც იყო. ეტყობოდა კიდეც მერაბიშვილის ხელი იმ სიას.

– ვანო მერაბიშვილის ხელი და გავლენა დაეტყო ნაციონალურ მოძრაობას?

– რა თქმა უნდა, ასეა. ვერ გეტყვით, რომ ეს ერთპიროვნულად მიშამ ან ერთპიროვნულად ვანო მერაბიშვილმა გადაწყვიტა, რამდენიმე ადამიანი იყო და ეს მოხდა ძალიან ვიწრო წრეში. შედეგი კი ასეთი დადგა.

მინდა, რომ ერთ რამეს მიაქციოთ ყურადღება, გაცილებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე საპრეზიდენტო არჩევნებზე, უამრავი ხალხი მოვიდა და გაცილებით მეტი ხმა მიიღო მაშინ ოპოზიციამ, ხოლო ბევრად უფრო მნიშვნელოვან არჩევნებზე ოპოზიციამ მიიღო 100 ათასით ნაკლები ხმა. აი, ეს არის შედეგი.

– რისი შედეგი? ვინ დააზარალა პროცესი?

– იმ ხალხმა, ვინც ამ სიაში აღმოჩნდა.

– ნაციონალური მოძრაობის სიაში?

– რა თქმა უნდა! სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს არ ყოფილა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შედგენილი სია.

– თავად ნაცმოძრაობის ლიდერებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ, იგივე სალომე სამადაშვილი...

– არა მარტო სალომე სამადაშვილი, ბევრია მისნაირი უკმაყოფილო.

– სამადაშვილმა არ უარყო ეს ჩანაწერი, გვისმენენო, მხოლოდ ეს გააპროტესტა.

– კი, ასეა. აბა რა უნდა გააპროტესტოს?!

– ითქვა, რომ გაცილებით მეტ კითხვის ნიშანს აჩენს თემურ ალასანიას და გუბაზ სანიკიძის ჩანაწერი. ამაზე რას იტყვით? შესაძლოა, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს?

– რა თქვა ისეთი გუბაზმა? არ უთქვამს, რომ არიქა, შევვარდებით და გადატრიალებას მოვაწყობთ. მან თქვა, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობა და რაღაც კომიტეტი შეიქმნას. ამას ოპოზიცია ყოველთვის აკეთებს, როცა ქუჩაში გადადის პროცესი.

– ასე ხომ არ იყო დაგეგმილი, რომ ოპოზიცია არ შესულიყო პარლამენტში და პროცესი ქუჩაში გადაეტანა?

– სანამ მე აქტიურად ვიყავი ბლოკში, იმ პერიოდში ეს საუბრები ნამდვილად არ ყოფილა. ყველამ ძალიან კარგად იცოდა ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და მე არჩევნების მერეც დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ არეულობა დღეს აწყობს მხოლოდ ხელისუფლებას. ყველანაირი არეულობა უნდა გამოვრიცხოთ. ყველა პროცესი უნდა იყოს სამართლებრივი, სხვანაირად არ გამოდის. პროტესტი უნდა გამოვხატოთ მშვიდობიანი გზით. გვაქვს ამის შესანიშნავი მაგალითი – ბელარუსი. ამდენი ხანია, ხალხი არ გატყდა, ყოველ შაბათ-კვირას გამოდიან და პროტესტს გამოხატავენ...

– და რა შეიცვალა?

– ბევრი რამ შეიცვალა, მაგალითად ის, თავიდან რომ არავის გაუპროტესტებია დასავლეთში ამ არჩევნების შედეგები, დღეს არჩევნები არ სცნო არავინ. დღეს ბელარუსს არ ჰყავს რეალური ხელმძღვანელი, ეს არ არის ცვლილება? როგორ არ არის!

– ეს ჩანაწერები რამდენად დააზარალებს ოპოზიციას და ხელისუფლების სასარგებლოდ წარმართავს პროცესებს?

– მე მგონია, რომ ეს ჩანაწერები აბსოლუტურად უმნიშვნელო ამბავია. ან ამაზე მეტი რა უნდა დააზარალოს ოპოზიცია? მეტი დაზარალება რა შეიძლება? დაამხეს თავზე არჩევნები და შედეგები თავზე გადაახიეს და მეტი რაღა უნდა დაემართოს ოპოზიციას?!

– უკვე გამოდის კულუარული ინფორმაციები, რომ პარლამენტში შესვლას გეგმავს ოპოზიციის ნაწილი. ამაზე რას იტყვით, რა ინფორმაცია გაქვთ?

– კი, ჩემამდეც მოვიდა ეს საუბრები. თუმცა ბოლო შეხვედრა როცა იყო ნათელაშვილის ოფისის ფორმატში, იქ ყველა ამბობდა, რომ არ შევიდოდნენ. თუმცა იქვე იყო აზრთა სხვადასხვაობა და კითხვები, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი იქნება დიპლომატიური კორპუსის და ზოგადად დასავლელი პარტნიორების პოზიცია. კითხვები არის, რა თქმა უნდა.

– პანდემიაა არ დაგვავიწყდეს, ხელისუფლების მხრიდან უკვე გაჩნდა ტერმინი „ბიოტერორისტი“ ოპოზიციური ლიდერების მისამართით. რამდენად მოხერხდება ხალხმრავალი აქციები?

– არ არის აუცილებელი, ათასობით ადამიანი დააყენო პარლამენტის წინ, პროტესტის ათასგვარი ფორმა არსებობს. ძალიან კარგი იდეაა ონლაინ აქცია, გაკეთდება პატარ– პატარა ფანჯრები, სივრცეები, სადაც ჩაერთვება ხალხი ონლაინ, სახლებიდან და ამას მთელ მსოფლიოს დავანახებთ, თუ როგორი ცივილური პროტესტი გვაქვს. ეს აუცილებლად იმუშავებს. უფრო მეტნიც ვიქნებით.

– ანუ ონლაინ აქციების მომხრე ხართ?

– ვარ, როგორ არა ვარ. თუ ონლაინ შეიძლება სტადიონზე მაყურებლის დასწრება, მაშინ რატომ არ შეიძლება ასე გამოვხატოთ პროტესტი. დავანახოთ მსოფლიოს, რომ პროტესტი არსებობს და პანდემიის ფონზე მას ასე გამოვხატავთ. ახლა მთავარია, ციხე შიგნიდან არ გატყდეს. თუ ერთი-ორი დათანხმდა და შევიდა, მერე იტყვიან, რა აზრი აქვსო და ყველა შევა.

– მაინც ვინ შევა?

– „ევროპული საქართველოს“ მხრიდან არ გამიკვირდება, რადგან ისინი ყოველთვის ზომიერ ოპოზიციად ითვლება, არ არიან რადიკალები. გირჩი რომ შევიდეს, არც ეს გამიკვირდება. კიდევ არის რამდენიმე, ვისგანაც არ გამიკვირდება. თუ ძალა ერთობაშია გატყდება და იქიდან შევლენ პოლიტიკოსები, მაშინ უკვე ღიად ვიტყვი, რომ ხელისუფლებამ დაამარცხა ოპოზიცია ამ პროცესში.

პირადად მე უარი ვთქვი შესვლაზე და სხვას ვერ ვურჩევ, რა ქნას, ყველამ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, შევა თუ არ შევა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ხათუნა ლაგაზიძე: „ირაკლი კობახიძემ „ოცნებას“ ცელი გამოუსვა“

„არჩევნების აღიარებით ხელს შევუწყობთ „ოცნების“ მონსტრად ქცევას, რომელიც ყველას შეგვჭამს“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ნიშნავს უკანონოდ მოპოვებული აუდიოჩანაწერების გავრცელება ხელისუფლების მთავარი პროპაგანდისტული არხის მეშვეობით? რატომ გამოაქვეყნეს ეს ჩანაწერები ახლა და არა არჩევნების წინ? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– გამოაგდეს ფარული ჩანაწერები და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ისევ გვისმენენ. თქვენთვის რას ნიშნავდა ეს იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლების მთავარ პროპაგანდისტულ არხზე გადის ეს ჩანაწერები?

– როცა მოქმედ დეპუტატს უსმენენ, ეს თავისთავად დანაშაულია და მეორე მხრივ დანაშაულია ისიც, როდესაც დაუსჯელობის განცდა აქვს ტელეკომპანიას, როდესაც კანონის დარღვევით მოპოვებულ მასალას უშვებს ეთერში. ანუ კანონთან ორმხრივი შეუსაბამობა ვნახეთ.

არჩევნების წინ, „ოცნების“ ყველაზე ოდიოზურმა ფიგურამ ირაკლი კობახიძემ დააანონსა, რომ შესაძლებელი იყო ხმის და გამოსახულების გაყალბებით დამონტაჟებული მასალების გამოყრა მედიასივრცეში. ამით თავად შექმნა ბაზისი იმისათვის, რომ ჩვენ არ ვენდოთ არც ერთ მასალას, რომელიც კანონდარღვევით არის მოპოვებული. ასე რომ, თავის დროზე თავად კობახიძემ გამოუსვა ცელი „ოცნებას“ და თქვა, რომ არსებობს ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ყალბდება როგორც გამოსახულება, ისე ხმა: სხვადასხვა დროსა და სივრცეში ნალაპარაკები შესაძლოა ისე აიკინძოს და ისე დაისვას სახის გამომეტყველებასა და ტუჩების მოძრაობასთან, რომ ძნელი გასარჩევი იყოს, რეალობასთან გვაქვს საქმე თუ ტყუილთან. კობახიძემ თქვა, ასეთ მასალებს არ ენდოთო და ჰოდა, არც ვენდობით.

– რატომ არ გამოყარეს ეს ჩანაწერები არჩევნებამდე?

– არჩევნებამდეც იყო დაანონსებული ასეთი ჩანაწერების გამოყრა, მაგრამ ირაკლი კობახიძეს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ისეთი „იაღლიში“ მოუვიდა, რომ აზრი დაკარგა ხელისუფლების მხრიდან მსგავსი მასალის გამოქვეყნებამ. მეორე, ხელისუფლებას გაყალბების იმედი ჰქონდა. რატომ ეგონათ, რომ ამას რეაქცია არ მოჰყვებოდა, არ ვიცი.

– რატომ ეგონათ, ასე მიამიტები არიან?

– არა. მიამიტები ზუსტადაც არ არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეგონათ, რომ კულუარული მოლაპარაკებების შედეგად ოპოზიციურ პარტიებს დაითანხმებდნენ პარლამენტში შესვლაზე. ეგონათ, რომ შედარებით წვრილი კალიბრის პარტიებს მარტივად იყიდდნენ და არ ელოდნენ მასობრივ სახალხო პროტესტს.

ახლა კი ჩვენთვის სასიკეთოდ იცვლება საგარეო პოლიტიკური ფონი: შეიცვალა პრეზიდენტი ამერიკაში და ახალი პრეზიდენტი კარგად იცნობს საქართველოს და მის პრობლემატიკას, უფრო მეტიც, გულშემატკივრობს საქართველოს და სწორედ ახლა გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც რუსეთის დაკვეთით კი არ გაყინავს ჩვენს ურთიერთობებს ამერიკასთან, „ოცნების“ მსგავსად, არამედ, მაქსიმალურად გამოიყენებს ამ შანსს და ახლავე დაიწყებს აქტიურ მუშაობას მის ადმინისტრაციასთან ბაიდენის საგარეო პოლიტიკური კომპასის საქართველოსკენ მომართვის მიზნით.

„ოცნებას“ ამის გაკეთება აკრძალული აქვს: დააკვირდით, „ოცნების“ ყველა პრემიერი მოიხსნა ამერიკაში ვიზიტის შემდეგ. შევხედოთ რა ხდება ახლო სამეზობლოში: რუსეთმა მიატოვა თავისი პლაცდარმი სამხრეთ კავკასიაში – სომხეთი და აზერბაიჯანს ყარაბაღისთვის ბრძოლაში ხელს არ უშლის, რაც თუნდაც ერთი წლის წინ წარმოუდგენელი რამ იყო, აქტიურდება საუბრები პუტინის შესაძლო გადადგომაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. რუსეთში რაღაც მნიშვნელოვანი იცვლება და ეს ჩვენთვის უნიკალური შანსია, რომელსაც „ოცნება“ მოკლავს, მისი ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, მასში ჩანერგილი უამრავი რუსული აგენტურის მეშვეობით.

ამიტომაც გადამწყვეტი იქნება, რას გააკეთებს ოპოზიცია და რამდენად მძლავრი იქნება პროტესტი. თუ ოპოზიციამ ამომრჩევლის ნდობა ახლაც გაფლანგა, ის „ოცნებასთან“ ერთად იქნება პასუხისმგებელი საქართველოს რუსულ უფსკრულში გადაჩეხვაზე.

– ხომ არ იქნება მაპროვოცირებელი მინდია უგრეხელიძის იდეა, რომელიც ენმ-ის და „პატრიოტების“ მანდატების სხვა ოპოზიციური პარტიებისთვის გადანაწილებას გულისხმობს?

– ამის სამართლებრივი მექანიზმი საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს და ეს იქნება იმგვარი მასშტაბის უპრეცედენტოდ არალეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას, უბრალოდ, არ ჰყოლია. ამის სერიოზულად განხილვას არ დავიწყებ.

– ანუ, ოპოზიციას ხელისუფლებამ უგრეხელიძის გახმოვანებით ერთგვარი საკენკი ხომ არ გადმოუყარა?

– რა საკენკი უნდა იყოს, როდესაც ამის სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. ჯერ ერთი, ხელისუფლება ამაზე ვერ წავა. მეორეა ის, „ოცნება“ რომც წავიდეს ამაზე, რისი გამორიცხვაც არ შეიძლება, ამას ხომ უნდა დაეთანხმოს ვინმე?! თუ ვინმე ამას დათანხმდება, ისინიც არალეგიტიმურები იქნებიან. წარმოუდგენელ რამეზე ვსაუბრობთ. საფრთხეს ქმნის თავად ის, რომ ხელისუფლება ცდილობს ოპოზიციის შიგნით იპოვოს ადამიანები, რომლებიც შევლენ პარლამენტში და გაყალბებულ არჩევნებს „გაუპრავებენ“. ეს გაცილებით მოსალოდნელია, თუ ვერ მოხერხდა ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი აქციების ორგანიზება. ეს გამოიწვევს ოპოზიციის მიმართ ჯერ კიდევ მაღალი ნდობის მაქსიმალურად შემცირებას, რაც სერიოზული რისკია და ისეთი იმედგაცრუება, რამაც შესაძლოა ქვეყანა გადააგდოს ძალიან დიდი ხნით უკან. ამიტომ, ოპოზიციამ უნდა იფიქროს ყველა შესაძლო ვერსიაზე.

ამ არჩევნების აღიარება და „ოცნების“ ერთპიროვნულად დატოვება ხელისუფლებაში ყველაზე დიდი გამოწვევაა და არა მხოლოდ ოპოზიციის ამომრჩევლისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც „ოცნებას“ მისცა ხმა. თუ არჩევნები აღიარა ოპოზიციამ და „ოცნება“ დარჩა უკონტროლო უმრავლესობაში, „ოცნებას“ სხვა გზა არ დარჩება გარდა იმისა, რომ გახდეს მონსტრი და დიქტატით შეეცადოს, შეინარჩუნოს ხელისუფლება.

ასე რომ, არჩევნების აღიარებით ყოველი ჩვენგანი ხელს შევუწყობთ „ოცნების“ მონსტრად ქცევას, რომელიც მოგვადგება და ყველას შეჭამს, მათ შორის, მის მომხრეებსაც. ასეთია ჟანრის კანონი.

„ქართული ოცნების“ ამომრჩევლის იმ ნაწილის ნამდვილად არ მესმის, ვინც იცის, რომ არჩევნები გაყალბდა და მაინც არის „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის მომხრე. ვსაუბრობ მათზე, ვისაც ფინანსური ინტერესი არ აქვს და

ადმინისტრაციულ რესურსს არ წარმოადგენს. ვისაც არ აქვს არც მატერიალური და არც თანამდებობრივი დაინტერესება და ფიქრობს, რომ მაინც უნდა შეინარჩუნოს „ოცნებამ“ ხელისუფლება გაყალბების გზით, მათი მორალური და ღირებულებითი სისტემა და არგუმენტები მაინტერესებს: „ნაციონალების“ მობრუნება არ გინდა და ამიტომ მის ადგილას ახალი მონსტრი უნდა შექმნა. და როგორ ბრუნდება ეს „ნაციონალური მოძრაობა“, როცა თუნდაც ამ გაყალბებული არჩევნების შედეგებით, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა ჯამში 18% მიიღეს და „ნაციონალებმა“ – 27?! ამ გათვლებით, „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება იყოს ყველაზე მსხვილი, მაგრამ ერთ-ერთი პარტია ოპოზიციური კოალიციის და მასში ისეთი ამბიციური ხალხი იქნება სხვა პარტიებიდან, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას“ პოზიციებს მარტივად არ დაუთმობენ.

მოკლედ, ამ არჩევნების შედეგები ორ რამეზე მეტყველებს: ერთი, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩენისთვის ყველას და ყველაფერს გადაუვლის და მეორე, „ოცნების“ წასვლის შემთხვევაში, მომავალი ხელისუფლება მხოლოდ კოალიციური იქნება.

დანარჩენი, ვისაც აზროვნება შეუძლია, იაზროვნოს.

ნინო ლომჯარია: „ოცნებამ“ და ოპოზიციამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკება“

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს როგორც მმართველ, ასევე, არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკებები საარჩევნო დარღვევების გამო შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავლის ძიების მიზნით. ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებაში.

როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, 31 ოქტომბრის არჩევნებში გამოვლენილი ხარვეზების შედეგად ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა.

„საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც ქვეყანაში საარჩევნო უფლების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი კონსტიტუციური ორგანოს, შეფასებით, 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებზე ძალადობრივი ინციდენტების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ასევე, არჩევნების დღეს ამომრჩევლების ნების კონტროლის, დამკვირვებლებზე და მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის პარალელურად, განსაკუთრებული პრობლემებით გამოირჩეოდა შედეგების შეჯამებისა და ხმის დათვლის პროცესი. სამწუხაროდ, შემაჯამებელ ოქმებში არსებულ არსებითი ხასიათის დარღვევებს საარჩევნო კომისიებმა საჩივრების განხილვის პროცესში სათანადო პასუხები ვერ გასცეს, რამაც საარჩევნო პროცესის მიმართ უნდობლობა და საზოგადოებრივი პროტესტი კიდევ უფრო გააღრმავა.

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში გამოვლენილი ხარვეზების შედეგად ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა. სიტუაციას ამძაფრებს გლობალური პანდემიის გამო საქართველოში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ეკონომიკური კრიზისი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყველა საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით მოლაპარაკებების წარმართვა საერთო სამართლებრივ და პოლიტიკურ გამოსავალზე შეთანხმების მიზნით. აუცილებელია გზების გამონახვა, რათა შესაძლებელი გახდეს სადავო საარჩევნო უბნების შედეგების მაქსიმალური გამჭვირვალობით გადათვლა და მეორე ტურების სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს, უსწრაფესად დაიწყონ მოლაპარაკებები კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიების მიზნით. დროულად გამოიძებნოს და შეთანხმდნენ შესაბამის ფორმატზე, რა დროსაც, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების, ასევე, დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მონაწილეობა პროცესების დაკვირვებისა და ფასილიტაციის მიზნით“ – ნათქვამია განცხადებაში.

„ივანიშვილმა ოპოზიციაში სუსტი რგოლის ძიება დაიწყო“

სოსო ცინცაძე: „ოპოზიციის სიმტკიცე იქნება ერთმნიშვნელოვნად გადამწყვეტი. თუმცა, ჩემი გამოცდილებითა და დაკვირვებით, მე ამის ურყევი რწმენა არ მაქვს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ოპოზიციის მიერ გამართულ აქციაზე თქვენი შთაბეჭდილება როგორია და როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– რასაც ვუყურებ შთამბეჭდავია. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ამდენ ადამიანს ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. რასაკვირველია, პირველ რიგში ეპიდემიიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, მე მაინც არ მგონია, რომ „ოცნების“ ლიდერები უყურებენ ქუჩაში, რუსთაველზე გამოსულ ამ ხალხს და ბჭობდნენ, რა კომპრომისებზე შეიძლება წავიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სიგნალი ჯერ არ არის. ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დავეღოდოთ. თუმცა, ფაქტი ერთია და ეს ახლავე შემიძლია გითხრათ, დაიწყო დიდი ნერვების ომი! ვის გაუძლებს ნერვები და ვის უმტყუნებს, გამარჯვებულ– დამარცხებულს სწორედ ეს გამოავლენს, ეს არ არის მარტივი ამბავი, ერთი დღის გასაკეთებელი საქმე. ეს დიდი ბრძოლაა, ყოველთვის ასე იყო.

თანაც, ეს არ არის ზაფხულის ან გაზაფხულის თვეები. ნოემბერში, ქართული ზამთრის პირველი სუსხი იგრძნობა. სიცივე, ვირუსი, ეს ყველაფერი არ აყენებს მომგებიან მდგომარეობაში ოპოზიციას. თუმცა, გაბრაზებულ ხალხზე უფრო დიდი მტერი არსად, არც ერთ ქვეყანაში ხელისუფლებას არ ჰყავს.

– რა მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო მხარდაჭერას და რამდენად ელოდებით?

– საერთაშორისო მხარდაჭერა ალბათ უფრო ნაკლებად იქნება. როდესაც შევარდნაძეს უთხრეს, ჩვენ უნდა წავიდეთ და ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთო, ეს სულ სხვა ჭრილში გაკეთებული განცხადება იყო. სიმართლე გითხრათ, უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მედიატორობა, რასაც ვისურვებდი კიდეც. ჩვენი მეგობარი სახელმწიფოები ვერ იტყვიან – ერთი

მხარე მართალია, მეორე მტყუანი. მით უფრო, საქართველოსთან მიმართებით, რადგან საქართველო არ არის ბელორუსია და რეალური სანქციები არავის არ ემუქრება ლუკაშენკოსგან და მისი ოჯახის წევრებისგან განსხვავებით. ამიტომ, საუკეთესო შემთხვევა იქნება ისევ მედიატორის ფუნქციის აღება, როგორც ეს იყო მაგალითად, 8 მარტის შეთანხმების დროს. ვგულისხმობ ნაწილობრივ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას.

ჩემთვის, როგორც დიპლომატიის სპეციალისტისთვის, მთავარი მარილი ამერიკის შეერთებული შტატების გავრცელებულ განცხადებაში შემდეგი იყო: ყველა დარღვევა გამოძიებული უნდა იყოს. თუ ოპოზიციის არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამას აუცილებლად მოჰყვება მართალია დიპლომატიური, მაგრამ მაინც სხვა ნაბიჯები თბილისში განთავსებული საელჩოების მხრიდან. ცხადია, საელჩოები მხოლოდ თვითონ არ იღებენ გადაწყვეტილებას და მათ უკან თავიანთი სახელმწიფოები დგანან.

– ამ პროცესების ფინალი რა შეიძლება იყოს და რაზე იქნება ეს დამოკიდებული?

– ოპოზიციის სიმტკიცე იქნება ერთმნიშვნელოვნად გადამწყვეტი. თუმცა, ჩემი გამოცდილებითა და დაკვირვებით მე ამის ურყევი რწმენა არ მაქვს. მახსოვს ხან საგურამოში დაფიცება, ხანაც მთაწმინდაზე ასული ოპოზიცია მამა დავითზე როგორ იფიცებოდა, მაგრამ მაინც როგორ ტყდებოდა. ჩვენი ოპოზიციის აქილევსის ქუსლი მუდამ ერთსულოვნება იყო. ვიღაცები კომფორტზე და კარგ ცხოვრებაზე იყიდებოდნენ. მართალია ყველა არა, მაგრამ ასეთები მაინც იყვნენ. ახლაც, თუ ივანიშვილმა ერთი პარტია მაინც გამოძებნა ასეთი, ეს უკვე საკმარისი იქნება, რომ პარლამენტი არ იყოს ერთპარტიული. თუ ეს მოხდება, მაშინ ყველაფერი დასრულდება. გულუბრყვილო არავინ არ არის. გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ ახლა გულხელდაკრეფილი არ ზის და არ ელოდება, რას იზამს ოპოზიცია. რა თქმა უნდა, ახლა ისინი ყველა გზას მოსინჯავენ ცალკეულ პიროვნებებთან, პარტიებთან, რომ შეიყოლონ პარლამენტში. აუცილებლად იქნება ივანიშვილის მხრიდან ამ ჯაჭვის სუსტი რგოლის ძიება. თუ ეს ჯაჭვი სადღაც გაწყდება და პირველი რგოლი გამოვარდება, მერე უკვე ერთი კი არა, შეიძლება რამდენიმეც შევიდეს. ხომ იცით, მაგალითი გადამდებია. ამიტომ, ძალიან დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო ოპოზიციის მხრიდან, რომ დომინოს ეფექტი არ გათამაშდეს.

– იქნებიან ასეთები?

– ვნახოთ, ვნახოთ. ეს ბევრწილად მოვლენათა განვითარებაზეც იქნება დამოკიდებული. საით წავა ეს პროცესები. თუმცა, ცდუნება ძალიან დიდი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ. ალბათ ივანიშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ პარლამენტში „ქართული ოცნება“ მარტო არ იყოს, ამიტომ ვამბობ, რომ ცდუნება ძალიან დიდი იქნება, გაუძლებს კი ოპოზიცია და შეინარჩუნებს ერთობას?! ვნახოთ.

– ივანიშვილს ღია მოლაპარაკებებზე კრიზისის განსამუხტად ხალხის რაოდენობა რამდენად უბიძგებს?

– ხალხის რაოდენობაზე უფრო, ვფიქრობ, ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები უბიძგებენ, ეტყვიან, რომ მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს და აქ კვლავ ისინი იქნებიან მედიატორები. ალბათ ასე განვითარება მოვლენები. სიმართლე გითხრათ, გაზაფხულზეც რთული წარმოსადგენი იყო დიალოგი და შეთანხმების მიღწევა საარჩევნო სისტემაზე, მით უფრო, ისეთი ხისტი სპიკერის შემხედვარე, როგორიც იყო მეორე მხარეს კობახიძე, მაგრამ შეთანხმება მოხდა, მიუხედავად იმისა, „ოცნების“ სპიკერები საკითხს დასრულებულად თუ დახურულად აცხადებდნენ. ვნახოთ, ამჯერად როგორ განვითარდება მოვლენები.

„ხელისუფლებას 2024 წლამდე ძალიან გაუჭირდება“

გიგა ბუკია: „მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი რომ ვიყო, პირველივე სხდომაზე მოვითხოვდი 31 ოქტომბრის არჩევნების საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნას“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობაა. ამ ფონზე საზოგადოება აპროტესტებს როგორც 31 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგს, ისე 9 ნოემბრიდან დიდ ქალაქებში დაწესებულ კომენდანტის საათს. „ახალი თაობა“ ესაუბრა მეცხრე მოწვევის, ჯერ კიდევ მოქმედი პარლამენტის დამოუკიდებელ წევრს, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბუკიას.

– საქართველოს მოქალაქეების მრავალრიცხოვან და და მრავალმხრივ პრობლემებს დაემატა კომენდანტის საათი დიდ ქალაქებში. ადამიანებს ეზღუდებათ საღამოს 10 საათიდან დილის 5-მდე გადაადგილების უფლება. მათ ამის მოტივაციაც ვერ გაიგეს.

– სიმართლე გითხრათ, ვერც მე გავიგე, რატომ არ არის საშიში საღამოს 10 საათამდე მოძრაობა და რაში მდგომარეობს ხიფათი 10 საათის შემდეგ. ადამიანებს აქვთ თავიანთი საზრუნავი, ისინი მოძრაობენ და შეზღუდვა არავის მოეწონება. როცა ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, კარგი იქნებოდა, მიგვეღო მკაფიო განმარტებები.

– ხომ არ უკავშირდება ეს დაწყებულ პროტესტს? მოქალაქეები პოლიტიკოსებთან ერთად არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ.

– კომენდანტის საათს მაინცდამაინც პირდაპირ აქციებს არ დავუკავშირებდი. აქციის მონაწილეებს ჯერ არ უთქვამთ, რომ ღამითაც აპირებენ გარეთ დგომას. ზამთარი მოგვადგა და არც მგონია, სადღეღამისო პროტესტი იყოს.

– თქვენი პარტია თუ ეთანხმება არჩევნების ოფიციალურ შედეგს?

– ჩვენ ბევრი შეკითხვა დაგვიგროვდა. კარგი იქნებოდა, ამ კითხვებზე მიგვეღო პასუხები. ჯერჯერობით, გაურკვევლობაა. არის გადასწორებული ოქმები, დაშვებული შეცდომები. რასაკვირველია, ეს არჩევნები ხარვეზიანი იყო.

– პროტესტის მონაწილეები მოითხოვენ, ხელახალ არჩევნებს ახალი ცესკოს მონაწილეობით. ამის მიღწევა შესაძლებელია?

– არ ვიცი, რამდენად თანმიმდევრულები იქნებიან ისინი, ვინც ამ მოთხოვნებს აყენებს. საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარ შეფასებებს თუ დავეყრდნობით, მათ ეს არჩევნები აღიარეს. არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა, ხელისუფლება აიძულო, ჩაატაროს სხვა არჩევნები. ცესკოს ახლიდან დაკომპლექტება კი ურთულესი პროცედურაა. არსებობს ცესკოს ფორმირების წესი. ეს ხანგრძლივი პროცესია. თუ დაკომპლექტების წესის და შემადგენლობის გადახედვა უნდათ, ამისათვის აუცილებელია კანონმდებლობის შეცვლა. ასე რომ, ცესკოს ორ-სამ დღეში ვერ გადაასხვაფერებ.

– პრემიერი გახარია აცხადებს მზადყოფნას, გამართოს დიალოგი ოპოზიციასთან. იქნება ეს ნაყოფიერი იმ დროს, როცა პარტიები ხელახალ არჩევნებს მოითხოვენ, ხელისუფლება კი ამას არ თანხმდება?

– დიალოგს და თანამშრომლობას ყოველთვის აქვს მნიშვნელობა. ვერ ვხედავ იმას, რომ მხარეები უკვე დღეს ამ დიალოგისთვის მზად იყვნენ. რაზე ისაუბრებენ მოლაპარაკებების დროს და რაზე შეთანხმდებიან, ეს მომავლის საქმეა.

– უოპოზიციოდ დარჩენილ „ქართულ ოცნებას“ იურიდიულადაც ხომ გაუჭირდება? ის ვერ მიიღებს იმ კანონებს, რასაც დიდი ქვორუმი ესაჭიროება.

– ვისაუბრებ მუშაობის დაწყებაზე. იმისთვის, რომ მეათე მოწვევის პარლამენტმა საქმიანობა დაიწყოს, საკმარისია 76 დეპუტატი. გამიკვირდა, როცა ნინო ბურჯანაძემ იურიდიული დაბრკოლებები აღმოაჩინა. ჯერ ჩვენს პარლამენტს (მეცხრე მოწვევის) არ დაუმთავრებია მუშაობა. როცა ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგის მიხედვით ცნობენ ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს, მანდატებზე უარი ამის შემდეგ შეიძლება თქვან მათ, ვისაც პარლამენტში შესვლა არ უნდა. ყველამ სათითაოდ უნდა დაწეროს განცხადება, რომელსაც განიხილავს საპროცედურო კომიტეტი.

– მომავალში როგორ იმუშავებს ერთპარტიული პარლამენტი?

– მას ექნება დიდი დისკომფორტი. მახსენდება 2008 წელი. მაშინაც ოპოზიცია ამბობდა უარს მანდატებზე, შემდეგ – ნაწილი პარლამენტში მაინც შევიდა. ახლაც არ ვიცით, ვინ რას იზამს.

– რაზე მიანიშნებთ?

– შეიძლება ზოგიერთი ოპოზიციონერი პარლამენტში შევიდეს. დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რა ვიცით, როგორ მოიქცევა. მაგალითად, კახა ოქრიაშვილი, რომელსაც ბევრთან უთანამშრომლია და მუდმივად დეპუტატი იყო?! სხვების დასახელებაც შემიძლია, მაგრამ ჯერ სხვებზე არ ვილაპარაკებ.

– რამდენიმე ოპოზიციონერიც რომ შევიდეს პარლამენტში, კრიზისი მაინც ხომ იქნება?

– რასაკვირველია, ეს არ იქნება ხელისუფლებისთვის სასურველი მდგომარეობა. ხელისუფლებას 2024 წლამდე ძალიან გაუჭირდება. მით უმეტეს, ოპოზიციის ერთიანობის პირობებში. ჩვენ საპარლამენტო მმართველობა გვაქვს და ერთპარტიული პარლამენტი რთული წარმოსადგენია. მე რომ ვიყო, სხვანაირად მოვიქცეოდი.

– რას გულისხმობთ?

– მეათე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი რომ ვიყო, შევიდოდი პარლამენტში და პირველივე სხდომაზე მოვითხოვდი 31 ოქტომბრის არჩევნების საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნას. ახალი რეგლამენტი ოპოზიციას დიდ შესაძლებლობებს და ბერკეტებს აძლევს. გაადვილებულია საგამოძიებო კომისიების ფორმირება. კომისია დაიბარებდა ყველა პირს და თუ დაადგენდა, რომ მოხდა დანაშაული, ეს იქნებოდა სისხლის სამართლის საქმის დაწყების საფუძველი არჩევნების გაყალბების თაობაზე.

– აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი გახდა. მისი ადმინისტრაცია უფრო მკაცრი ხომ არ იქნება საქართველოს ხელისუფლების მიმართ?

– სტრატეგიულ პარტნიორობას ხელს არაფერი შეუშლის. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ მიაწვდის ვაშინგტონს ინფორმაციას. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აშშ-სთან კომუნიკაციაში ჩავარდნა ჰქონდა. ამ დროს იქიდან წამოვიდა კრიტიკა (დამსახურებულიც და დაუმსახურებელიც). ვნახოთ, როგორ ააწყობენ ურთიერთობას. მთავარია, რომ აშშ დარჩება საქართველოს მოკავშირედ.

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

მამუკა ტუსკაძე: „პატარა პარტიების ხმები „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაზე გადაანაწილეს“

გულიკო ბალაძე

– ბატონო მამუკა, დღეს ყველა ოპოზიციური ძალა აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა, მათ შორის, თქვენც ამბობთ, რომ უფრო მეტი ხმები უნდა გქონოდათ, მაგრამ გაგიყალბეს. როგორ ფიქრობთ, რეალურად, რა მოხდა?

– რეალურად, ახალდაფუძნებული და პატარა პარტიების ხარჯზე გაყალბება მოხდა. არჩევნებში 50 სუბიექტი მონაწილეობდა. აქედან 5 იყო პატარა. არჩევნები 45 სუბიექტისა და ახალდაფუძნებული პარტიების ხარჯზე გაყალბდა. პატარა და ახალი პარტიები ახალდაფუძნებულები არიან და არ აქვთ პოლიტიკური გამოცდილება. ჩვენ უბნებზე 1000-ზე მეტი დამკვირვებელი გვყავდა, მაგრამ იმ დამკვირვებლებმა შედეგი მაინც ვერ დადეს.

– თქვენმა დამკვირვებლებმა შედეგი რატომ ვერ დადეს?

– იმიტომ, რომ რეალურად, მათგან ძალიან ცოტამ იცოდა უბნებზე მუშაობა. ახალი პარტიის მინუსი ის არის, რომ ასეთი კადრები არ ჰყავს. თუმცა, დიდი იმედი მაქვს, შემდეგ არჩევნებზე ჩვენ ისეთი დამკვირვებლები გვეყოლება, პარტიის ხმების დაცვას შეძლებენ.

ცუდი ის არის, რომ ამხელა ძალისხმევა გვჭირდება ჩვენი ხმების დასაცავად. არჩევნებზე დამკვირვებელი, საერთოდ, რომ არ იყოს, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლისაც რომ არ ჰყავდეს, არჩევნები ნორმალურად უნდა ტარდებოდეს. ისეთი საარჩევნო კომისია უნდა იყოს, დაკვირვება და მონიტორინგი არ სჭირდებოდეს. არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში სუფთად უნდა ტარდებოდეს.

– კონკრეტულად თქვენ რა გაქვთ ხელჩასაჭიდი, რით ადასტურებთ, რომ არჩევნები გაგიყალბეს?

– იმ უბანზე, სადაც ხმა მივეცით მე და ჩემი ოჯახის 12-მა წევრმა, ოქმში ეწერა 2 ხმა. იმ უბანზე, სადაც ხმა მისცეს ჩემმა მოადგილემ და მისმა ოჯახმა, იქაც ორი ხმა ეწერა. სადაც ველოდებოდით 10-12-15 ხმას, იქ ეწერა 1 ან 2 ხმა. სადაც ველოდებოდით 7-8 ხმას (ჩვენი გათვლებით 10 ხმამდე უნდა გვქონოდა), იქ გვწერა 0 ან 1 ხმა. ეს არის ძალიან ცუდი და მძიმე მდგომარეობაზე მიგვითითებს.

– თქვენი გათვლით, თქვენი კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რამდენ პროცენტს იღებდით?

– 23 ათასიდან 25 ათასამდე ხმა უნდა მიგვეღო. ეს არის 1.2-1.3%. მინიმუმ ეს ის რაოდენობაა, რაც ჩვენმა კოორდინატორებმა მოგვაწოდეს. რეგისტრაციისთვის 50 ათასი ხმა შევაგროვეთ. ვვარაუდობდით, რომ აქედან ნახევარზე მეტი არ მოგვატყუებდა. შესაბამისად, ზუსტად ვიცით, რომ ნახევარზე მეტმა არ მოგვატყუა, რადგან 23 ათასიდან 16 ათასი ჩვენ თვითონ მივიყვანეთ უბანზე.

ჩვენ ჩავატარეთ სრულფასოვანი საარჩევნო კამპანია. ჩვენი აქტივისტებისა და ლიდერების ავტომანქანებით, მიკროავტობუსებით და ავტობუსებით გადაგვყავდა ჩვენი მხარდამჭერები საარჩევნო უბნებამდე. ზოგს ფეხი სტკიოდა, ზოგს – ხელი, ზოგისთვის უბანი შორ მანძილზე იყო. ამიტომ თბილისისა და რეგიონების მასშტაბით, ჩვენს მხარდამჭერებს უბანზე მისასვლელად ჩვენი დახმარება სჭირდებოდათ.

– ეს დარღვევა არ არის?

– არა, დარღვევა არ არის. ჩვენი ოფისის 100 მანქანას ჩვენი ამომრჩეველი უბნებზე მიჰყავდა. შესაბამისად, გამორიცხულია, 16 ათასზე მეტი ადამიანი მიიყვანო უბანზე და აქედან 3 ათასი ხმა მიიღო, 13 ათასმა კი – გიღალატოს.

– ნიშანდობლივია, რომ მამუკა მდინარაძის განცხადებით, სამგორში გადაითვალა ბიულეტენები და ნაცმოძრაობის, ევრონაცებისა და მათთან დაკავშირებული პარტიების ბიულეტენები კი არ აღმოჩნდა გაყალბებული, არამედ ზოგიერთი პატარა პარტიების ხმები იყო სხვაზე მიწერილი.

– ეს აღიარა ხელისუფლებამაც. ჩვენ ვიცავთ პატარა პარტიების ინტერესებს (ჩვენ არ გვაინტერესებს ნაცმოძრაობა და მისი სატელიტი პარტიები). ესენია ახალი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც იდეოლოგია გააჩნიათ. აშკარად გვაბრმავებენ.

– ბატონო მამუკა, „ოცნება“ აცხადებს, რომ სამგორში როცა გადათვალეს, მათი 200 ხმაც სხვაზე მიწერილი აღმოჩნდა. ეს იყო საარჩევნო კომისიების უპასუხისმგებლობა თუ არაკომპეტენტურობა?

– ეს არის საარჩევნო კომისიების არაკომპეტენტურობა, რასაც შეეწირა პატარა და ახალი პარტიების ხმები.

– შეგიძლიათ ჩამოთვალოთ მიზეზები, რის გამოც თქვენმა პარტიამ ხმები დაკარგა?

– პირველი მიზეზი ის არის, რომ საარჩევნო უბნებზე ხმები ვერ დავიცავით. ცოტა კოორდინატორი და დამკვირვებელი გვყავდა და იმ ცოტა რაოდენობიდან კიდევ ძალიან ცოტა იყო პროფესიონალი. მათი უმეტესობა არჩევნებზე პირველად იყო. ჩვენ ახალი ძალა ვართ და საარჩევნო პროცესში ახალი ადამიანები გვყავდა შემოყვანილი.

შესაბამისად, ამან იმოქმედა. ჩვენს ხმებს უბანზე პატრონი არ ჰყავდა და იმ მგლებმა, რომელსაც საარჩევნო კომისიის 12 წევრი ჰქვია პოზიცია-ოპოზიციანად, ჩვენი ხმები როგორც უნდოდათ, ისე გადაინაწილეს. ახალ პარტიებს შორის ყველაზე მეტი ხმები ჩვენ გვაქვს. ამიტომ ყველაზე ბევრი ხმები ჩვენი წაიღეს. ჩვენ ათასობით ათასი ხმა გვქონდა, ამიტომ მიიწერეს ჩვენი ხმები. ვისაც 100 და 200 ხმა ჰქონდა, ის დარჩა.

კიდევ ორ მტკიცებულებას გეტყვით. ჩვენ საქართველოს მასშტაბით თითქმის მთლიანად გვყავდა დამკვირვებლები. გამონაკლისი იყო მთიანეთი და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი, სადაც დამკვირვებლები, საერთოდ, არ გვყავდა. პროცენტულად ზუსტად იმდენივე ხმა მივიღეთ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში, რამდენიც მივიღეთ კახეთში, სადაც 100 ათას ლარიანი ხარჯი გვაქვს გაწეული. 300-ზე მეტი კოორდინატორი გვყავდა და საარჩევნო კამპანია სრულფასოვნად ჩავატარეთ.

კახეთში ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი ორგანიზაცია, ძალიან სერიოზული ადამიანებით დაკომპლექტებული, მაგრამ კახეთმაც ხმების იმდენივე პროცენტი აიღო, როგორც იქ, სადაც ორგანიზაცია, დამკვირვებლები არ დაგვიკომპლექტებია და ამომრჩეველი ტელევიზიითა თუ სოციალური ქსელებით გვიცნობდა.

– არ უშვებთ, რომ ამომრჩეველმა მაჟორიტარულად თქვენს კანდიდატს მისცა, მაგრამ პარტიულად სხვა პარტიას მისცა ხმა?

– არა, ჩვენ მაჟორიტარები არ გვყავდა, მხოლოდ მერობის კანდიდატი გვყავდა. ჩვენმა ამომრჩეველმა პარტიულად ჩვენ მოგვცა ხმა, მაჟორიტარულად კი – „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა.

ჩვენ ნაცმოძრაობის დაბრუნება არ გვინდოდა. რადგან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არ გვყავდა, პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ჩვენს კოორდინატორებსა და აგიტატორებს მისცემოდათ უფლება, ამომრჩევლისთვის ეთქვათ, რომ მაჟორიტარულ ნაწილში ჩვენს მხარდამჭერებს 41 შემოეხაზათ. ქუთაისში კი თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები ტარდებოდა, მერს ირჩევდნენ და მივიღეთ მონაწილეობა.

– მინდა გკითხოთ ნაცმოძრაობაზე, რომელმაც ამ არჩევნებში უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებში. ამ შემთხვევაში რას შეიძლებოდა მიემატებინა ნაცებისთვის ხმები? ნაცმოძრაობის მიერ დავითგარეჯის ტერიტორიის გასხვისების გამომჟღავნების შემდეგ, ამ პარტიას ხმები მოემატა?

– ჩვენი ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიებს ჰქონდათ ინსტრუქციები, რომ პატარა პარტიების ხმები პროპორციულად გადანაწილებულიყო „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაზე და გადაინაწილეს კიდეც. არც „ქართულ ოცნებას“ მიუღია 936 ათასი ხმა, მისი მაქსიმუმია 700 ათასი ხმა.

ნაცმოძრაობასაც არ მიუღია ნახევარი მილიონი ხმა, მისი მაქსიმუმია 200 ათასი ხმა. ჯამში, ნახევარი მილიონი ხმა დანარჩენი პარტიებიდან იქნა წაღებული. ეს არის კატასტროფა. ნაცმოძრაობა ხელისუფლებას უკანონო ხმებზე გაურიგდა, მიიღო უკანონო ხმები და ახლა ყვირის.

– ნაცმოძრაობას ოქმებზე ხელი აქვს მოწერილი.

– ნაცმოძრაობას ოქმებზე ხელი იმიტომ აქვს მოწერილი, უბანზე 100 ხმა რომ მიიღეს, დაეწერათ 150, მაგრამ ამავდროულად „ოცნებას“ რომ ჰქონდა 200 ხმა, დაეწერა 300. ხმები მოიმატეს პატარა პარტიების ხარჯზე. ამიტომ არის, რომ 1000-მდე ოლქში ბალანსი არ გამოდის. წესით, 1000 უბანი უნდა გაუქმდეს და ხელახალი კენჭისყრა უნდა ჩატარდეს.

– თქვენ პროტესტის რა მეთოდს მიმართავთ?

– 9 ნოემბერს გამოცხადდება საარჩევნო შედეგები და იმის მიხედვით გავასაჩივრებთ სასამართლოში. ასევე ჩვენ უკვე შევიტანეთ საჩივარი გენერალურ პროკურატურაში. საუბნო საარჩევნო კომისიებსა და მათ წევრებზე. მოკვლევის დაწყებას მოვითხოვთ

– ყველა უბნის მიმართ მოკვლევის დაწყებას ითხოვთ?

– პარტია ყველა უბნის მიმართ ითხოვს მოკვლევას, მაგრამ ადამიანებმა, რომლებმაც ზუსტად იციან, რომ ხმა მისცეს და ოქმში არ აისახა, ინდივიდუალურადაც შეიტანეს საჩივარი უბნის კომისიის წევრებზე. შესაბამისად უნდა ჩატარდეს მოკვლევები.

გარდა ამისა, ახალმა პოლიტიკურმა პარტიებმა გავაკეთეთ კოალიცია და მოვაწყვეთ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. კიდევ გვექნება შეხვედრები და მოქმედების გეგმებზე შევთანხმდებით.

– ხმები „პატრიოტთა ალიანსსაც“ დააკლეს?

– ხმები ყველას დააკლეს პროპორციულად. ერთადერთი ორგანიზაცია, ვისაც ხმები არ დააკლეს, ეს არის „გირჩი“. მას ჰქონდა 3%-იანი რეიტინგი, აღრიცხული ჰყავს 60 ათასი ნარკომანი და, შესაბამისად, მათ ის ხმები მიიღეს. „გირჩიც“ აცხადებს, მეც დამაკლესო, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, „გირჩის“, ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოს გარდა, ყველას დააკლეს.

– როგორც ვიცი, თქვენ „ოცნებასთან“ კოალიციაში შეხვიდოდით.

– ჩვენ საქართველოს პარლამენტშიც შევიდოდით და „ოცნებასთან“ კოალიციაშიც შევიდოდით, შესაბამისი ხმები რომ გამოგვჩენოდა.

– მასობრივად უბნები რომ გადაითვალოს?

– მასობრივად გადათვლა არ უნდა. 3800 უბნიდან 1200 უბანი რომ გადათვალონ, ჩვენ ბარიერს გადავლახავთ. ყოველ უბანზე ჩვენი 7-8 ხმა აუცილებლად გამოჩნდება და სერიოზული განაცხადი იქნება ბარიერის გადასალახად.

„ქრთამად შეაძლიეს 50.000 დოლარი“

თედორე გობეჯიშვილის გარდაცვალების საქმეზე მისი ნაციონალი მეგობრები აკაკი კობალაძე და აკაკი ხუსკივაძე დააკავეს

7 ნოემბერს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თედორე გობეჯიშვილი 43 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაცია ავრცელებს და მის ოჯახსა და კოლეგებს უსამძიმრებს:

„ცენტრალური საარჩევნო კომისია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თედორე გობეჯიშვილის გარდაცვალების გამო.

თედორე გობეჯიშვილი 43 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. ის საარჩევნო ადმინისტრაციაში 2006 წლიდან მუშაობდა; 2008-2016 წლებში საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო, 2018 წლის თებერვლიდან დღემდე კი ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. თედორე გობეჯიშვილს ჰქონდა საარჩევნო საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება და გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით.

საარჩევნო ადმინისტრაცია უსამძიმრებს თედორე გობეჯიშვილის ოჯახს, კოლეგებს და ახლობლებს“ – ნათქვამია ცესკოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

7 ნოემბერს თედორე გობეჯიშვილის გარდაცვალების საქმეზე აკაკი ხუსკივაძე დააკავეს, აკაკი ხუსკივაძე ერთ-ერთი იყო იმ პირთაგან, რომლებიც გობეჯიშვილის ახლობელმა ზაალ ზაალიშვილმა დაასახელა.

ზაალიშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, ამავე დროს, თედორე გობეჯიშვილის მეგობრები, აკაკი კობალაძე და აკაკი ხუსკივაძე, თედორე გობეჯიშვილის სამსახურიდან ხმაურით წამოსვლის შემთხვევაში სანაცვლოდ ჯერ თანხას ჰპირდებოდნენ, უარის მიღების შემდეგ კი დაემუქრნენ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ციხეში მოხვდებოდა.

აკაკი ხუსკივაძე საბურთალოს პოლიციასთან მისი ავტომობილის ჩხრეკის დასრულების შემდეგ დააკავეს. პოლიციაში იმყოფებოდა მისი ადვოკატიც.

დაკავებულია აკაკი კობალაძეც.

8 ნოემბერს შსს-მ თედორე გობეჯიშვილს გარდაცვალების საქმეზე დაკავებულების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1975 წელს დაბადებული ორი პირი – ა.ხ. და ა.კ. ქრთამის მიცემის, მუქარისა და იძულების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 6 ნოემბერს, ბრალდებულები ისნის №5 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – თედორე გობეჯიშვილს შეხვდნენ და შესთავაზეს, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით 50.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, პრესის თანდასწრებით, დემონსტრაციულად დაეტოვებინა თანამდებობა და გაეკეთებინა განცხადება, თითქოსდა არჩევნები გაყალბდა. აღნიშნული განცხადების გაკეთების შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი სარგებლის მიღებას დაჰპირდნენ.

მას შემდეგ, რაც თედორე გობეჯიშვილისგან უარი მიიღეს, ბრალდებულები ისნის №5 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაემუქრნენ ანგარიშსწორებით და აიძულებდნენ, დასთანხმებოდა შემოთავაზებულ წინადადებას.

ბრალდებულებთან შეხვედრის მეორე დღეს – 2020 წლის 7 ნოემბერს – 1977 წელს დაბადებული თედორე გობეჯიშვილი საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ქრთამის შეთავაზებას, ჯგუფურად ჩადენილ იძულებას და ჯგუფურად ჩადენილ მუქარას გულისხმობს“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დაკავებულების ადვოკატები ამბობენ, რომ აკაკი კობალაძეს და აკაკი ხუსკივაძეს აბსურდული ბრალი წაუყენეს.

საპატრულო პოლიცია კორონავირუსის გავრცელების აქტიურ მონიტორინგს აგრძელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, კოვიდ 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში კონტროლს აქტიურ რეჟიმში ახორციელებენ.

პატრულ-ინსპექტორები მობილიზებული არიან თბილისში არსებულ ყველა მეტროსადგურთან და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მეტროსადგურში შემსვლელი პირების მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მოქმედი წესების დაცვას და პირბადეების სწორად ტარებას აკონტროლებენ.

გარდა ამისა, სამართალდამცველები დედაქალაქსა და საქართველოს ყველა დიდ ქალაქში არსებული აგრარული ბაზრების, აგრეთვე, ბაზრობების ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად, ინტენსიურ რეჟიმში ახდენენ პატრულირებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან სოციალური დისტანცია, სწორად ატარონ პირბადე და დაემორჩილონ პოლიციელთა მითითებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდება.

კახეთში 6 კილოგრამზე მეტი ჰეროინი ამოიღეს

დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ა.კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაქირში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას, 6 კილო და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სუსმა ხელისუფლების დამხობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, 2020 წლის 1 ოქტომბერს, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით.

„საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა, სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში არსებული ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, კონკრეტული პირები, საპარლამენტო არჩევნებში მათთვის არასასურველი შედეგის შემთხვევაში, გეგმავდნენ მოეხდინათ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, რა მიზნითაც ყოფილი სამართალდამცავი და სამხედრო მოსამსახურეების რიგებიდან აკომპლექტებდნენ მობილურ ჯგუფებს.

გამოძიების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, გამოიკითხნენ მოწმეები, მათ შორის ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში გასული სიუჟეტის რესპონდენტები, რომლებმაც გამოძიებას გარკვეული სახის ინფორმაცია მიაწოდეს. ასევე გამოიკითხა საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი კობახიძე, რომელმაც გამოძიებას მის ხელთ არსებული, იმ დაჯგუფებათა სია წარუდგინა, რომელთა გამოყენებას კონკრეტული პოლიტიკური ლიდერები საარჩევნო პერიოდში ძალადობრივი ქმედებების განსახორციელებლად აპირებდნენ. გამოძიების ფარგლებში დადგინდა და გამოიკითხა მოქალაქე, რომელმაც საქართველოს პარლამენტის წევრს ზემოაღნიშნული სიები მიაწოდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება მტკიცებულებების შეკრების და დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილების მიზნით. ნებისმიერ არაკონსტიტუციურ, უკანონო ქმედებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოახდენს შესაბამის რეაგირებას“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

რუსთავში 30 წლის ქალი მე-4 სართულიდან გადახტა და გადარჩა

სუიციდის მცდელობა იყო რუსთავში, XIX მიკრორაიონში.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, 30 წლამდე ახალგაზრდა ქალი საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულიდან გადმოხტა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

დაშავებული თავდაპირველად „კლინიკა რუსთავში“, მოგვიანებით კი თბილისში გადაიყვანეს.

– იყო ტრავმული შოკი, სხეულის მრავლობითი მოტეხილობებით, სასწრაფოდ საჭიროებდა ნეიროქირურგიულ და ტრავმატოლოგიურ ჩარევას. იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე. პაციენტის მდგომარეობა ფასდებოდა როგორც მძიმე, – განუცხადა „ინფო რუსთავს“ „კლინიკა რუსთავი“-ს გადაუდებელი დახმარების განყოფილების ხელმძღვანელმა ხათუნა რევაზიშვილმა.

გიორგი რურუას ციხეში ცემისთვის 3 პატიმარს ბრალი წარედგინა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში „მთავარი არხის“ მეწილის გიორგი რურუას მიმართ განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ფაქტზე პატიმრებს – პ.ნ-ს, ნ.ო.-ს და გ.ჯ.-ს ბრალდება წარუდგინა.

უწყების ცნობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 2 ნოემბერს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 დაწესებულებაში, პატიმრებმა – ბრალდებულმა პ.ნ-მ, მსჯავრდებულმა გ.ჯ.-მ და ბრალდებულმა ნ.ო.-მ. ჯგუფური ძალადობის გზით მსჯავრდებულ გიორგი რურუას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

პროკურატურამ ძალადობაში მონაწილე ყველა პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუფურად) 2020 წლის 6 ნოემბერს წარუდგინა.

როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ქუთაისში სწრაფი ჩარიცხვის აპარატის ქურდობის ფაქტზე 3 პირი დააკავეს

ქუთაისში სწრაფი ჩარიცხვის აპარატის ქურდობის ფაქტზე 3 პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1979 წელს დაბადებული ზ.ა., 1969 წელს დაბადებული დ.ბ. და 1977 წელს დაბადებული ვ.ჩ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით ქუთაისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 5 ნოემბერს, ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, კომპანია „ოპპას“ კუთვნილი სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოიპარეს და ერთ-ერთი დაკავებულის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გადამალეს.

მომხდარიდან მეორე დღეს, ბრალდებულები მოპარული სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან ფულის ამოღებას აპარატის საცავის დაზიანების გზით ცდილობდნენ, როდესაც სამართალდამცველებმა ისინი ადგილზევე დააკავეს.

პოლიციამ ნაქურდალი სწრაფი ჩარიცხვის აპარატი ნივთმტკიცებად ამოიღო. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საფრანგეთში მღვდელზე თავდასხმისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს

საფრანგეთის ქალაქ ლიონში სამართალდამცავებმა 40 წლის მამაკაცი დააკავეს, რომელიც მართლმადიდებელ მღვდელზე თავდასხმაშია ეჭვმიტანილი.

დაკავებული პირი საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა დაკავებულის მეუღლეც, რომელიც საქართველოს მოქალაქე არ არის და მისი დაბადების ადგილი რუსეთია.

დაკავებულმა დანაშაული უკვე აღიარა და განაცხადა, რომ მღვდელს ეჭვიანობის ნიადაგზე ესროლა.

საფრანგეთის ქალაქ ლიონში მღვდელს 31 ოქტომბერს დაესხნენ თავს და ცეცხლსასროლი იარაღით მძიმე ჭრილობა მიაყენეს.

სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილის შესახებ ინფორმაცია დაჭრილი მღვდლისგან მას შემდეგ მიიღეს, რაც ის კომიდან გამოვიდა.

სროლა ივანიშვილის სასახლესთან

დაკავებულია 37 წლის ა.რ.

6 ნოემბერს, ბიძინა ივანიშვილის შუშის სასახლესთან გასროლის ხმა გაისმა. სროლის დროს ოპოზიციის საპროტესტო მსვლელობა მიმდინარეობდა.

ფაქტის ამსახველ ვიდეო მასალაში ჩანს „ტოიოტა ქამრის“ მარკის ტიპის თეთრი მანქანა, რომელიც ქუჩაში ხალხის მასას ცდება, საპროტესტო სიგნალის შემდეგ კი ისმის 6-ჯერ გასროლის ხმა. სროლის ხმის შემდეგ ადგილზე შეკრებილი აქციის მონაწილეები მანქანისკენ გაემართნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სოლოლაკში ბიძინა ივანიშვილის შუშის სასახლესთან სროლის ფაქტზე 37 წლის, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ა.რ. დააკავეს.

უწყება მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას სდებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, თბილისში, სოლოლაკში, მარო მაყაშვილის აღმართზე, ბიზნესცენტრთან მდებარე საავტომობილო გვირაბში ავტომანქანით გადაადგილების დროს რამდენიმე გასროლა განახორციელა“ – წერია უწყების განცხადებაში.

სამართალდამცავებმა ა.რ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს, ნივთმტკიცებად კი, სავარაუდოდ, ხმოვანი პისტოლეტი და მასში მოთავსებული 2 აირის ვაზნა ამოიღეს. დაკავებული დანაშაულს აღიარებს. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩემო საქართველო!

საქართველოს კახეთისოდენა მიწა – ჰერეთი რომ წაართვა აზერბაიჯანმა, 130 ათასი ქართველის ნაცვლად, 6 ათასი ქართველი ცხოვრობს. ეს არის ბერების უბანი – წმინდანების საფლავები ამოთხარეს. ეს არ იყო შეურაცხყოფა?! გარეჯი არის ჩვენი ბერების აკვანი, სადაც 1615 წელს აღდგომისას შაჰ-აბასმა 8 ათასი ქართველი ბერი წამებით დახოცა მოღალატე ქართველების გამო.

დავით ბერძენიშვილმა პირდაპირ განაცხადა, 3500 ჰექტარი მიწის გულისთვის აზერბაიჯანს ხომ არ დავუპირისპირდებით და სიტუაციას ხომ არ დავძაბავთო. რა მაგრად გყვარებია საქართველო, შე არაფრის მაქნისო. ჩვენი „ძმები“ აზერბაიჯანელები ნელ-ნელა წევენ საზღვარს და გამკითხავი არავინაა? ამ მთავრობას ეს არ აინტერესებს, მარტო ფულის კეთებაზე არის გადასული. ვაი, შენ, ჩემო ტანჯულო საქართველო, რა უაზრობაში ვართ ჩართულნი.

დღეს თუ რუსეთი ფეხზე დგას, ყრუ-მუნჯმა პუტინმა უნდა ილოცოს ქართველებზე, რადგან სწორედ ქართველებმა შეუნარჩუნეს რუსებს ეროვნება და ქვეყანა. ის უნდა უმადლოდეს პეტრე I (ის ერეკლეს შვილიშვილი იყო) და დიდ გენიოს კაცს – იოსებ სტალინს.

ვისაც ჩვენი საქართველო და ქართველი ხალხი არ უყვარს, მისი ასე და ისე.

თქვენი მოსიყვარულე იბო დოლიძე

საერთაშორისო

ჯო ბაიდენი აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი გახდა

კამალა ჰარისი პირველი ქალი ფერადკანიანი ვიცე-პრეზიდენტია



ჯო ბაიდენი აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი გახდა.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მან საარჩევნო კოლეგიის 290 ხმა მოიპოვა.

გამარჯვებისთვის 270 ხმაა საჭირო.

გამარჯვების მოპოვების შემდეგ ჯო ბაიდენმა ტვიტერში დაწერა:

„ამერიკა, ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამირჩიეთ ჩვენი დიადი ქვეყნის სამართავად. მე გპირდებით, რომ ყველა ამერიკელის პრეზიდენტი ვიქნები, იმის მიუხედავად, მომეცით ხმა თუ არა.“

ტვიტი დაწერა აწ უკვე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა, რომელიც შეერთებული შტატების პირველი ქალი ფერადკანიანი ვიცე-პრეზიდენტი გახდა:

„ჯო, ჩვენ ეს შევძელით!“

ბარაქ ობამამ კი ბაიდენსა და ჰარისს ასე მიულოცა:

„ვულოცავ ჩემს მეგობრებს, ჯო ბაიდენსა და კამალა ჰარისს, ჩვენს მომავალ პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს“.

ალიევი: „ქალაქი შუშა სომხური ოკუპაციისგან გავათავისუფლეთ!“

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანის არმიამ მთიანი ყარაბაღის ქალაქი შუშა გაათავისუფლა.

– დიდი სიამაყით ვაცხადებ, რომ ქალაქი შუშა გათავისუფლებულია სომხური ოკუპაციისგან. შუშა ჩვენია! ყარაბაღი ჩვენია! – განაცხადა მან.

პარალელურად კი, სოციალურ მედიაში ვრცელდება კადრები, თუ როგორ ტოვებს სომხური მოსახლეობა ქალაქ შუშასა და მის შემოგარენში არსებულ დასახლებებს.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი შუშა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქია და ის არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ე.წ. დედაქალაქ სტეპანაკერტიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს.

იანვარში პუტინი გადადგება

რას წერს ბრიტანული გაზეთი

ბრიტანულმა გამოცემა „დეილიმეილმა“ გავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი იანვარში თანამდებობას დატოვებს, მიზეზი კი ჯანმრთელობის პრობლემებია.

როგორც გამოცემა წერს, სპეკულაციები მას შემდეგ დაიწყო, რაც კრემლის პოლიტიკის ერთ-ერთმა მთავარმა კრიტიკოსმა, პროფესორმა ვალერი სოლოვეიმ განაცხადა, რომ პუტინს პარ-კინსონის დაავადება აქვს და რომ პრეზიდენტის ოჯახს სურს, ახალი წლისთვის მან თანამდებობა დატოვოს.

სოლოვეის თქმით, პუტინის პარტნიორი ალინა კაბაევა და მისი შვილები მარია ვორონცოვა და კატერინა ტიხონოვა რუსეთის პრეზიდენტს თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებენ.

– ის აპირებს, რომ გადადგომის გეგმებზე საჯაროდ იანვარში ისაუბროს. პუტინი დანიშნავს ახალ პრემიერ-მინისტრს, რომელიც მისი მემკვიდრე გახდება, – აცხადებს ვალერი სოლოვეი.

კრემლმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია. ყოველივეს კრემლის სპიკერმა დმიტრი პეს-კოვმა უპასუხა, მისი თქმით, ვლადიმერ პუტინის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესანიშნავია და ინფორმაციას მისი ავადმყოფობის შესახებ სრული სისულელე უწოდა.

– პრეზიდენტს ყველაფერი კარგად აქვს, – განაცხადა პესკოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

საქართველოს თასს პირველლიგელი წაიღებს

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში პირველლიგელები გავიდნენ – წყალტუბო სამგურალი და გაგრა.

აქამდე სამჯერ იყვნენ ფინალში ეს გუნდები (სამგურალი ერთხელ და გაგრა – ორჯერ) და სამივეჯერ ტორპედოს შეხვდნენ. აქედან გაგრამ ერთი მოიგო და ერთი პენალტებში წააგო. პენალტებში წააგო სამგურალმაც. ანუ, ფინალში ძირითად დროში გუნდებს წაგება არ აქვთ.

გაგრა-საბურთალო 0:0 (4:2პ)

თბილისი. ტექნიკური ცენტრი

1:0 ხოსიტაშვილი, 1:1 ტაბატაძე, 2:1 კაკიაშვილი, 2:1 მარგველაშვილი (მეკარე), 3:1 ჩადუნელი, 3:2 ალთუნაშვილი, 3:2 ვეკუა (მეკარე), 3:2 გაბუნია (ააცილა), 4:2 ერგემლიძე

გაგრა: კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ჯაფარიძე, ჩადუნელი, ნოზაძე, კაკიაშვილი, ხაბელაშვილი (ოქროპირიძე 116), ქობულაძე (სანაშვილი 120), სულთანიშვილი, მაქაცარია (ვეკუა 88), ლაღაძე (ერგემლიძე 75)

საბურთალო: ლ.კუპატაძე, მარგველაშვილი, ნაზარე, გრიგალაშვილი, ბუმალი (გაბუნია 113), ბ.ქავთარაძე (გოჩოლეიშვილი 57), ცნობილაძე, გულიაშვილი (მაჭარაშვილი 80), ჭიჭინაძე, ტერა (ი.ტაბატაძე 73), ალთუნაშვილი

გაძევება: ჯაფარიძე (32)

პირველლიგელი გაგრა 32-ე წუთიდან მოედანზე 10 ფეხბურთელით იყო დარჩენილი, მაგრამ საბურთალომ ეს უპირატესობა ვერც ძირითად დროში გამოიყენა და ვერც – დამატებითში. პენალტების სერიაში კი, გაგრა უკეთ გაისარჯა და თასის ფინალს მესამედ უწია. გაგრელები ფინალში 2011 წელს (მოიგეს) და 2018 წელს არიან ნამყოფნი.

სამგურალი-ჩიხურა 2:0

წყალტუბო. 26 მაისი

1:0 ფონიავა (29), 2:0 კუხიანიძე (90)

სამგურალი: მეშველიანი, პატარკაცაშვილი, ტურე, ს.კუხიანიძე (რაჟამაშვილი 90), გაზდელიანი, ფონიავა (ბრეგვაძე 75), ჩიხლაძე, ქურდაძე, დოლიძე (ახვლედიანი 66), თ.კიკაბიძე, რაზმაძე

ჩიხურა: ზარქუა, კამლაძე (ბუხაიძე 61), კაშია, ჯაფიაშვილი, დეკანოიძე, კახაბრიშვილი, მისტულოვი (ლ.კიკაბიძე 71), კორიფაძე, ჯავაშვილი, ბერეზოვი (წიქარიძე 57), ბასტრონი

გაძევება: ბასტრონი (81)

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალში სამგურალმა ჩიხურა საკუთარ მოედანზე 2:0 დაამარცხა და 21-წლიანი პაუზის შემდეგ ტურნირის ფინალში გავიდა.

ანგარიში 29-ე წუთზე პაპუნა ფონიავამ გახსნა, შეხვედრის მეორე გოლი კი, მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში სერგო კუხიანიძემ გაიტანა.

სამგურალი ფინალში 1999 წელს არის ნამყოფი, სადაც პენალტების სერიაში ტორპედოსთან დამარცხდა.

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

ჯანდაცვა-ტოქსიკური

ჩინეთში უიშვიათესი ოქროსფერი ვეფხვის ბოკვერები დაიბადნენ

ჩინეთის ჩუეცზიანის პროვინციაში უიშვიათესი ოქროსფერი ვეფხვის ოთხი ბოკვერი დაიბადა.

ერთი ხვადი და სამი ძუ ბოკვერი Taihu Lake Longemont Paradise-ს ზოოპარკში დაიბადნენ. სპეციალისტების თქმით, ახლადდაბადებულებს ჯანმრთელობის პრობლემები არ აღენიშნებათ. ზოოპარკმა უკვე გამოაქვეყნა ოქროსფერი ვეფხვის ბოკვერების ვიდეო, რომელზეც ჩანს, რომ ისინი სპეციალურ ინკუბატორში არიან მოთავსებული და ცელქობენ.

ზოოპარკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ბოკვერები 24-საათიანი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, ვინაიდან ჯერჯერობით მათი დედა თავისი ნაშიერების მიმართ ყურადღებას არ იჩენს.

– ოქროსფერი ვეფხვი ბენგალური ვეფხვის უიშვიათეს ქვესახეობას წარმოადგენს და გენეტიკური მუტაციის შედეგია, – აღნიშნეს ზოოპარკის პრესსამსახურში.

ქალმა ქმარს 300 მამაკაცთან უღალატა

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ცოლმა სამსახურით მეტისმეტად დაკავებულ მეუღლეს 300 საყვარელთან უღალატა.

ორი ბავშვის დედა, ჩუანი, ამტკიცებს, რომ გართობას ცდილობდა, ვინაიდან მისი მეუღლე მეტისმეტად დატვირთული იყო სამუშაოთი. 2017 წლიდან ის მამაკაცებს იცნობდა, თავს გამოგონილი სახელით აცნობდა და მათთან არა მხოლოდ ინტიმურ კავშირს ამყარებდა, არამედ მსხვილ თანხებსაც ძალავდა.

საერთო ჯამში, ამ ხერხით ჩუანმა 40 ათასი იუანი მიიღო. მამაკაცები ფიქრობდნენ, რომ მარტოხელა დედას ეხმარებოდნენ სამედიცინო ხარჯების, ბინის ქირის გასტუმრებაში და ბავშვების მოვლა-პატრონობაში.

მიმდინარე წლის აგვისტოში მისი თაღლითობა მისმა ერთ-ერთმა პოტენციურმა მსხვერპლმა გაშიფრა. მან გადაწყვიტა, რომ თავის ახალ ნაცნობზე უფრო მეტი ინფორმაცია მოეძიებინა და ის სიცრუეში ამხილა. მოგვიანებით ქალი პოლიციას გადასცეს. გაირკვა, რომ ოჯახისთვის არაფერი იყო ცნობილი მისი დანაშაულებრივი მაქინაციების შესახებ.

დაკავების შემდეგ ჩუანმა აღიარა, რომ საყვარლებისგან მიღებულ ფულს აზარტულ ონლაინთამაშებში ხარჯავდა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. ქალს რვა წლით პატიმრობა და 40 ათასი იუანით დაჯარიმება ემუქრება.

დედამ მომაკვდავი ბავშვი სახლში დატოვა და პაბში წავიდა



ინგლისის ჩრდილოეთ ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ უიშოუს მკვიდრს, რომელმაც მომაკვდავი ბავშვი სახლში მიატოვა და თავად პაბში წავიდა, სასამართლომ სამწლინახევრით პატიმრობა მიუსაჯა.

45 წლის შერონ გოლდი განზრახ მკვლელობაში თავს დამნაშავედ არ ცნობს, თუმცა თავისი 13 წლის გოგონას რობინის მიმართ ცუდ მოქცევაში თავს დამნაშავედ ცნობს. მან აღიარა, რომ შვილს ნორმალურად არ კვებავდა, არ აცმევდა, სცემდა და უფლებას აძლევდა, ნარკოტიკები მოეხმარა და ალკოჰოლური სასმელები დაელია.

გოლდიმ აღიარა, რომ ანტისანიტარიულ პირობებში აცხოვრებდა, მათ შორის კატის ფეკალიებში, რის გამოც გოგონას გაუჩნდა ტილები. მას ექიმისთვის არ მიუმართავს გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, როდესაც მას პერიტონიტი აწუხებდა.

სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ რობინი გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე თავს ცუდად გრძნობდა, 2018 წლის 24 ივლისს გოგონას ფერი ჰქონდა დაკარგული და კანკალებდა. გოლდიმ მეგობარს, რომელმაც ბავშვის საავადმყოფოში წაყვანა შესთავაზა, უარი უთხრა. მეორე დღეს რობინმა სახლის ეზოში გასვლა და მეზობლისთვის სასწრაფოს გამოძახების თხოვნა მოახერხა. მაგრამ გოლდი ისევ ჩაერია და რობინი სახლში შეიყვანა.

– იმ დღეს თქვენ შვილს ტკივილები სტანჯავდა, მაგრამ თქვენ მას ტკივილგამაყუჩებელი მიეცით და თავად პაბში წახვედით. იმ დროისთვის როდესაც სახლში დაბრუნდით, ის დივანზე იწვა და წამოდგომას ვერ ახერხებდა, მაგრამ თქვენ და თქვენი მეგობარი ბაღში გახვედით დალევის გასაგრძელებლად, ის ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა, – განაცხადა მოსამართლე ლორდ ბეკეტმა.

საბოლოოდ სასამართლომ შერონ გოლდს ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობისთვის სამწლინახევრით პატიმრობა მიესაჯა.

მამაკაცს შავი პანტერასთვის მუცლის მოფხანა ძვირად დაუჯდა

ამერიკის ფლორიდის შტატში მამაკაცს თავს შავი პანტერა დაესხა და სერიოზული ტრავმები მიაყენა.

ინციდენტი კერძო სამხეცეში მოხდა, რომელიც ქალაქ დეივის მცხოვრებ მაიკლ პოგის ეკუთვნის. 50 წლის დუაიტ ტერნერს სურდა მოზრდილ პანტერას მოფერებოდა, რომელიც პოგის სახლის გვერდით ვოლიერის ბინადარი იყო. 150 დოლარის სანაცვლოდ პოგიმ მამაკაცს ცხოველთან თამაშის, მისთვის მუცელზე მოფერების და მასთან ფოტოსურათის გადაღების უფლება მისცა.

როდესაც ტერნეტი ვოლიერში შევიდა, შავი პანტერა მას თავს დაესხა. შედეგად მამაკაცმა სერიოზული დაზიანებები მიიღო. მისი მეუღლის თქმით, მის ქმარს მარჯვენა ყური შუაზე აქვს გახეული, ხოლო თავზე კანი თითქმის მთლიანად ამძვრალი.

სამხეცეს მფლობელი დააჯარიმეს იმის გამო, რომ გარეული ცხოველების უსაფრთხოების დაცვა არასათანადო დონეზე ჰქონდა უზრუნველყოფილი და ასევე, დამთვალიერებლის სახიფათო ცხოველთან სრული კონტაქტი დაუშვა. მან აღიარა, რომ მისი მოქმედება არაკანონიერი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ბაჩო ნაკაშიძე: „გაამკაცრეთ შეზღუდვები!“

ოპერის მომღერალი ბაჩო ნაკაშიძე საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართავს გაამკაცროს შეზღუდვები:

– მივმართავ თხოვნით ხელისუფლებას – საქართველოს მთავრობა: აუცილებლად დააწესეთ და გაამკაცრეთ შეზღუდვები! არ მაინტერესებს მე არავის პარტიული სკამი, როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება. ყველაზე დიდი და ძვირფასი ადამიანი და მისი ჯანმრთელობაა! რა დროს მიტინგები და თავშეყრაა? რამე გააკეთეთ და ქვეყანაში დაცულად გვაგრძნობინეთ თავი! ასე დაუცველად ვგრძნობ თავს! ირგვლივ ჩემი მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, ნათესავები, ძალიან ცუდად არიან და გვაქვს სრული პანიკა!

არ გამოვარდეს ახლა ვინმე პოლიტიკური ნიშნით! არ მაინტერესებს პოლიტიკა, მაინტერესებს და მიყვარს თითოეული მოქალაქე!

ადიგენში შოთა რუსთაველის უცნაური ბიუსტი დადგეს

სამცხე-ჯავახეთში, ადიგენის მუნიციპალიტეტში შოთა რუსთაველის უცნაური ბიუსტი დადგეს, რომელმაც საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა:

ფოტო სოციალურ ქსელში უშანგი რუხაძემ გაავრცელა:

– ეს ძეგლი თუ რაცაა, შოთას რომ ენახა, ალბათ დაწვავდა იმას, რაც დაწერა... ადიგენში.

– „ეს ძეგლი დაუდგეს აშოტ რუსტაველიანს ალბათ“, „ამოაშენეს,...მყარად რომ იდგეს“, „ფსამს“ – ასე შეაფასეს ინტერნეტმომხმარებლებმა შოთა რუსთაველის ბიუსტი.

პანტომიმის თეატრის ნოემბრის სპექტაკლები გაუქმებულია

ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მიერ ნოემბრის თვეში დაგეგმილი სპექტაკლები გაუქმებულია.

ინფორმაცია თეატრის ოფიციალურმა გვერდმა ინტერნეტით გაავრცელა:

– შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნოემბრის თვეში დაგეგმილი სპექტაკლები: „კიდევაც დაიზრდებიან“, „მოხუცი და ზღვა“, „კრიმინჭული“ და „შექსპირის სონეტები“ გაუქმებულია.

შალიკაშვილის პანტომიმის სახელმწიფო თეატრი გისურვებთ ჯანმრთელობას!

ბათუმის საავტორო კინოს ფესტივალი ონლაინ ფორმატში ჩატარდება

ბათუმის საავტორო კინოს ფესტივალი ონლაინ ფორმატში 15-25 ნოემბერს ჩატარდება.

კინოფესტივალი, რომელიც ტრადიციულად სექტემბერში ტარდება, კოვიდ 19-ის პანდემიის გამო გადაიდო და ფესტივალის ორგანიზება ოქტომბრის მეორე ნახევარში იგეგმებოდა. თუმცა პანდემიური სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესების გამო, კინოფესტივალის მენეჯმენტმა ციფრულ ფორმატზე გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

კინოფესტივალის ონლაინ ჩვენებებისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი რამდენიმე პლატფორმა. პირველ პლატფორმაზე განთავსდება ფესტივალის მხატვრული და დოკუმენტური კონკურსის და „დიდოსტატთა კოლექციის“ ფილმები. ფილმებზე წვდომა შესაძლებელი იქნება წინასწარი რეგისტრაციით. ფილმების ნახვა ლიმიტირებული იქნება – თითო ფილმს ნახავს მაქსიმუმ 500 მაყურებელი.

მეორე პლატფორმაზე განთავსდება ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის და „ქართული პანორამის“ ფილმები. წინასწარი რეგისტრაციის გავლის შემდეგ მაყურებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ ფილმის ბმულები და პაროლი. ფილმები იქნება ქართული სუბტიტრებით. ფილმების ნახვა შესაძლებელი იქნება უფასოდ ორივე პლატფორმაზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ვერას და დინამოს პირველი მოგება-წაგება

ვერა-დინამო 82:76
(19:17, 20:18, 22:14, 21:27)

ამ მატჩში, სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. 3 ტურის შემდეგ დაუმარცხებელი დინამო სამივე წაგების მქონე ვერასთან დამარცხდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა ვერელებმა დაცვაში კარგი თამაშის წყალობით ფავორიტად მიჩნეულ დინამოელებს პრინციპული მატჩი მოუგეს – 82:76.

ვერელებმა სოლიდურად ითამაშეს დაცვაში, შეტევაში კი, ძირითადად, ამერიკელ ბრაისონ სკოტს ეყრდნობოდნენ, რომელმაც სადებიუტო უქულო მატჩის შემდეგ მეორედ ითამაშა და 32 ქულასთან ერთად 10 მოხსნა მიითვალა. სკოტი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ფონს იოლად გადიოდა. მისი შემჩერებელი დინამოელთაგან თითქმის ვერავინ მოიძებნა. ამასთან, პირველ ნახევარში 10 ქულა ჩააგდო და ვერელებს ხელი დიდად წააშველა გუნდის დებიუტანტმა ჯალენ ბრედლიმ.

პირველ ნახევარში ვერელებმა 39:35 იძალეს და მთავარ უპირატესობას მე-3 პერიოდში დაეუფლნენ. სწორედ ეს პერიოდი იყო საკვანძო, რადგან თუკი დინამოელებს რამის პრეტენზია ჰქონდათ, სწორედ აქ უნდა ემარჯვათ. ასე კი აღნიშნული მონაკვეთიც ვერელთა დომინაციით წარიმართა და ხოშტარიას გუნდის უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა.

დინამოელებს მიმდინარე სეზონში ბოლო პერიოდში ლამის წაგებული მატჩი მოუგიათ, მაგრამ რაც გამოუვიდათ ბათუმთან, ვერ შეძლეს ვერასთან. მაქსიმუმი, რაც მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილმა დინამოელებმა მოახერხეს, ჩამორჩენის 6 ქულამდე შემცირება იყო. აქტიურ სკოტს ქულების გროვებაში გივი ბაქრაძეც შეეშველა, დაცვაში კი ვერელებმა ისევ გადაკეტეს ზონები და გამარჯვებისთვის ეს სრულებით საკმარისი აღმოჩნდა.

სკოტის კვალზე ვერაში 15 ქულა ჰქონდა დებიუტანტ ბრედლის, ხოლო 14 – გივი ბაქრაძეს. 10 ქულით დაასრულა შეხვედრა ვახტანგ ქადარიამ. დინამოში 27 ქულით საუკეთესო იყო ლუკა ბულაშვილი. 15 ქულა და 10 მოხსნა ტრეივონ რიდის ანგარიშზე დაგროვდა.

კაკტუსი-ბათუმი 77:79
(27:19, 17:26, 13:18, 20:16)

კაკტუსმა ბათუმს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 77:79 დამარცხდა. მატჩის ბედი ბოლო წამებზე, რომ იტყვიან, ერთი სროლით გადაწყდა. შეხვედრის დასრულებამდე 6 წამით ადრე სანდრო სანაძეს 3-ქულიანი რომ ჩაეგდო, კაკტუსი ქულით გალიდერდებოდა და დიდი ალბათობით, გაიმარჯვებდა კიდეც, თუმცა კაკტუსელთა კაპიტნის საკვანძო სროლა მიზანს ასცდა, ბურთი ბათუმელებმა მოხსნეს და...

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავიდან ბათუმი იგებდა, მაგრამ არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა მოახერხეს სწრაფი თამაშითა და მწყობრი დაცვით ვითარების გამოსწორება – 9-ქულიანი ჩამორჩენა ხომ გააბათილეს და მეორე პერიოდის შუაწელში 11 ქულით დაწინაურდნენ.

ბათუმელთა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა წუთშესვენებით მეტოქეს ტემპი დაუგდო, დაცვა გაამაგრა და შეტევაში პოზიციური გადაადგილებები მოახდინა. მსროლელებმა პერიმეტრზე აიწიეს და სამწამიანში ასპარეზი ტანმაღალ ნიკოლა ვუიოვიჩსა და ბექა ბექაურს გამოუთავისუფლეს. ამან გაამართლა, ანგარიში გათანაბრდა და ბოლო წუთებამდე შეხვედრა დაახლოებით თანაბარ კალაპოტში ჩადგა. ძირითადად ბათუმელები ლიდერობდნენ, თუმცა კაკტუსი არ რჩებოდა და ამერიკელი ლეგიონერების – ეი ჯეი სამბრისა და სამაი ჰეინს-ჯონსის შედეგიანობით ბოლოსწინა წუთზე დაწინაურდა კიდეც – 77:74.

ბათუმელებმა სწრაფი კომბინაციით პერიმეტრზე დატოვეს ტანმაღალი ბექაური, რომელმაც ზუსტი 3-ქულიანით მატჩის დასრულებამდე 1 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა – 77:77. სწორედ დარჩენილ 1 წუთში გადაწყდა ყველაფერი. კაკტუსელებმა ჯერ ბურთი დაკარგეს და ვუიოვიჩის 1 საჯარიმო მიიღეს, შემდეგ კი ლევან რევაზაშვილმა ჩატენვა გააცუდა და ისევ ვუიოვიჩი დადგა საჯარიმოს ხაზზე, რომელმაც კვლავ 2-დან 1 ჩააგდო და ანგარიში ბათუმელთა სასარგებლო – 79:77 გახადა. სწორედ აქ გათამაშდა ის საკვანძო სცენა, რაც თავში ვახსენეთ: სანაძემ პოტენციურად გამარჯვების ბურთი ააცილა და შეხვედრის ბედიც გადაწყდა. აცილებული ბათუმელებმა მოხსნეს და კაკტუსელებმა ტაქტიკური ჯარიმა აიღეს, თუმცა პირველი გაცუდების შემდეგ, ნემანია კაპეტნოვიჩმა მეორე საჯარიმოც, ამჯერად განზრახ ააცილა და თავის ფართან ბურთით დარჩენილ კაკტუსელებს 3 წამში მეტოქის ფარის დალაშქვრის არანაირი შანსი აღარ შერჩათ. ჰეინს-ჯონსის განწირულმა შორმა სროლამ ბათუმელთა კალათამდე ვერც მიაღწია.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი პეტარ არანიოვიჩი გახლდათ 21 ქულით, 7 მოხსნითა და 6 პასით. 21 ქულა და 7 მოხსნა ჰქონდა ბექა ბექაურს, ხოლო ნიკოლა ვუიოვიჩის ანგარიშზე 15 ქულა, 11 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. კაკტუსში 26 ქულით ჰეინს-ჯონსი გამოირჩა, ეი ჯეი სამბრის ანგარიშზე კი 20 ქულა და 7 მოხსნა იყო.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

საბავშვო ბაღის დარაჯმა ფანჯრიდან გადმომხტარი ბავშვი დაიჭირა

ჩინეთის პროვინცია შანდუნში საბავშვო ბაღის დარაჯმა მოასწრო ბავშვის დაჭერა, რომელიც მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოხტა.

ბიჭი შემთხვევით ტუალეტში ჩაიკეტა და კარი გაღებას ვერ ახერხებდა. მან გადაწყვიტა ტუალეტი ფანჯრიდან დაეტოვებინა და მიუხედავად აღმზრდელების გაფრთხილებისა და ვედრებისა, რომლებიც მის დამშვიდებას ცდილობდნენ, ფანჯრიდან გადახტა. ბოლო მომენტში მისი დაჭერა დარაჯმა შიშველი ხელებით შეძლო. ბავშვი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას რამდენიმე დაზიანება აქვს მიღებული შუბლის არეში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

7 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-მანჩესტერი 1:3
კრ.პალასი-ლიდსი 4:1
ჩელსი-შეფილდი 4:1
ვესტ ჰემი-ფულემი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.საუთჰემპტონი	8	5	1	2	16-12	16
2.ლივერპული	7	5	1	1	17-15	16
3.ჩელსი	8	4	3	1	20-10	15
4.ლესტერი	7	5	0	2	17-9	15
5.ტოტენჰემი	7	4	2	1	18-9	14
6.ევერტონი	8	4	1	3	16-14	13
7.კრ.პალასი	8	4	1	3	12-12	13
8.ვულვზი	7	4	1	2	8-8	13
9.ასტონ ვილა	6	4	0	2	15-9	12
10.არსენალი	7	4	0	3	9-7	12
11.ვეტს ჰემი	8	3	2	3	14-10	11
12.სიტი	6	3	2	1	9-8	11
13.ნიუკასლი	8	3	2	3	10-13	11
14.მანჩესტერი	7	3	1	3	12-14	10
15.ლიდსი	8	3	1	4	14-17	10
16.ბრაიტონი	8	1	3	4	11-14	6
17.ფულემი	8	1	1	6	7-15	4
18.ვესტ ბრომვიჩი	7	0	3	4	6-16	3
19ბარნლი	7	0	2	5	3-12	2
20.შეფილდი	8	0	1	7	4-14	1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

რედინგი-სტოკი 0:3
ბირმინგემი-ბორნმუთი 1:3
ბლექბერნი-ქარ 3:1
ბრენტფორდი-მიდლსბრო 0:0
დერბი-ბარნსლი 0:2
ნორვიჩი-სუონსი 1:0
ნოტინგემი-უიკომბი 2:0
როტერჰემი-პრესტონი 2:1
უოტფორდი-ქოვენთრი 3:2
ჰადერსფილდი-ლუთონი 1:1
უენსდი-მილუოლი 0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ჰერტა 0:3
მაინცი-შალკე 2:2
ლაიფციგი-ფრაიბურგი 3:0
უნიონი-არმინია 5:0
შტუტგარტი-აინტრახტი 2:2
დორტმუნდი-ბაიერნი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	7	6	0	1	27-11	18
2.ლაიფციგი	7	5	1	1	15-4	16
3.დორტმუნდი	7	5	0	2	15-5	15
4.უნიონი	7	3	3	1	16-7	12
5.ლევერკუზენი	6	3	3	0	10-5	12
6.გლადბახი	6	3	2	1	9-8	11
7.შტუტგარტი	7	2	4	1	13-9	10
8.ვერდერი	7	2	4	1	9-9	10
9.აუგსბურგი	7	3	1	3	9-10	10
10.აინტრახტი	7	2	4	1	10-12	10
11.ვოლფსბურგი	6	1	5	0	5-4	8
12.ჰერტა	7	2	1	4	13-13	7
13.ჰოფენჰაიმი	6	2	1	3	10-10	7
14.ფრაიბურგი	7	1	3	3	8-16	6
15.არმინია	7	1	1	5	4-15	4
16.კოლნი	7	0	3	4	7-12	3
17.შალკე	7	0	3	4	5-22	3
18.მაინცი	7	0	1	6	7-20	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-ფიურტი 0:2
ჰანოვერი-აუე 0:0
ნიურნბერგი-ფორტუნა 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

უესკა-ეიბარი 1:1
ბარსელონა-ბეტისი 5:2
სევილია-ოსასუნა 1:0
ატლეტიკო-კადისი 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	7	5	2	0	17-2	17
2.სოსიედადი	8	5	2	1	18-4	17
3.რეალი	7	5	1	1	13-5	16
4.ვილიარეალი	8	4	3	1	10-8	15
5.გრანადა	7	4	2	1	9-9	14
6.კადისი	9	4	2	3	8-10	14
7.ბეტისი	9	4	0	5	12-17	12
8.ბარსელონა	7	3	2	2	15-8	11
9.ხეტაფე	7	3	2	2	7-6	11
10.ელჩე	7	3	2	2	7-8	11
11.სევილია	7	3	1	3	7-6	10
12.ოსასუნა	8	3	1	4	7-8	10
13.ბილბაო	7	3	0	4	6-7	9
14.ეიბარი	9	2	3	4	6-9	9
15.ვალენსია	8	2	2	4	11-13	8
16.ალავესი	8	2	2	4	6-9	8
17.სელტა	9	1	4	4	6-15	7
18.უესკა	9	0	6	3	7-15	6
19.ლევანტე	7	1	2	4	7-12	5
20.ვალიადოლიდი	8	0	3	5	5-13	3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კარტახენა-ლოგრონიესი 0:1
მირანდესი-ხიხონი 1:0
ესპანიოლი-ლუგო 2:1

იტალია. სერია ა

კალიარი-სამპდორია 2:0
ბენევენტო-სპეცია 0:3
პარმა-ფიორენტინა 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.მილანი	6	5	1	0	14-5	16
2.სასუოლო	7	4	3	0	18-9	15
3.იუვენტუსი	6	3	3	0	14-5	12
4.ატალანტა	6	4	0	2	17-13	12
5.ნაპოლი	6	4	0	2	14-7	11
6.ინტერი	6	3	2	1	15-10	11
7.ვერონა	6	3	2	1	8-3	11
8.რომა	6	3	2	1	13-10	11
9.სამპდორია	7	3	1	3	11-11	10
10.კალიარი	7	3	1	3	14-15	10
11.ლაციო	6	3	1	2	10-12	10
12.ფიორენტინა	7	2	2	3	10-12	8
13.სპეცია	7	2	2	3	11-15	8
14.ბოლონია	6	2	0	4	11-12	6
15.პარმა	7	1	3	3	8-13	6
16.ბენევენტო	7	2	0	5	10-20	6
17.ჯენოა	6	1	2	3	6-12	5
18.ტორინო	6	1	1	4	12-16	4
19.უდინეზე	7	1	1	5	6-11	4
20.კროტონე	6	0	1	5	6-17	1

იტალია. სერია ბ

კოზენცა-ბრეშა 1:2
მონცა-ფროზინონე 2:0
პორდენონე-კიევო 1:1
ემპოლი-რეჯინა 3:0
კრემონეზე-ვიჩენცა 0:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ბორდო-მონპელიე 0:2
პსჟ-რენი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	10	8	0	2	26-3	24
2.ლილი	9	5	4	0	15-4	19
3.რენი	10	5	3	2	18-14	18
4.მარსელი	9	5	3	1	12-8	18
5.ნიცა	9	5	2	2	14-10	17
6.მონპელიე	10	5	2	3	16-13	17
7.ლიონი	9	3	5	1	15-9	14
8.მეცი	9	4	2	3	10-7	14
9.მონაკო	9	4	2	3	15-13	14
10.ლანსი	7	4	1	2	10-10	13
11.ანჟე	9	4	1	4	10-19	13
12.ბორდო	10	3	3	4	9-11	12
13.სტ.ეტიენი	9	3	1	5	9-13	10
14.ბრესტი	9	3	0	6	12-20	9
15.რეიმსი	9	2	2	5	12-14	8
16.ლორიანი	9	2	2	5	12-15	8
17.ნანტი	8	2	2	4	9-13	8
18.ნიმი	9	2	2	5	9-14	8
19.სტრასბური	10	2	0	8	10-19	6
20.დიჟონი	9	0	3	6	4-18	3

საფრანგეთი. ლიგა 2

გრენობლი-ლე ავრი 2:1
კლერმონი-გენგამი 0:0
დიუნკერკი-პარიზი 0:1
კაენი-ნანსი 2:1
ოსერი-ამიენი 2:1
როდეზი-აიაჩო 0:1
სოშო-ნიორი 3:4
ტრუა-შამბლი 2:2
ტულუზა-ვალანსიენი 4:5
შატორუ-პო 0:3

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

დენ ჰააგი-ტვენტე 2:4
ვენლო-ერაკლესი 3:2
ვალვაიკი-სპარტა 0:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ტონდელა-სანტა კლარა 2:0
ფამილიკაო-მარიტიმუ 2:1
გიმარაეში-სპორტინგი 0:4

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ურალი-სპარტაკი 2:2
არსენალი-როტორი 1:1
ტამბოვი-ახმატი 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ალტახი-აუსტრია 0:0
რიდი-ჰარტბერგი 2:0
სტ.პოლენი-ტიროლი 0:1

ბელგია. ა დივიზიონი

კორტრაიკი-ბეერსხოტი 5:5
უეპენი-ბევერენი 1:1
სტ.ტრუიდენი-გენკი 1:2

შვეცარია. სუპერლიგა

ლოზანა-ლუგანო 0:1
ციურიხი-ლუცერნი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-პანეთოლიკოსი 0:0
პანათინაიკოსი-ატრომიტოსი 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ანთალია 2:2
ალანია-ტრაბზონი 1:1
ერზრუმი-გიოზთეფე 1:1
ფენერბახჩე-ქონია 0:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

პარდუბიცე-ოპავა 1:0
ჩესკე-ზლინი 1:2
სლოვაკეკ-სიგმა 0:0
პრჟიბრჟამი-ბანიკი 0:4

პოლონეთი. ექსტრაკლასა

სტალი-ვარტა 0:1
კრაკოვია-იაგელონია 3:1
სლასკი-გურნიკი 0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-მარიუპოლი 3:3
ოლექსანდრია-ლვოვი 1:0
დესნა-მინაი 1:0

შვედეთი. ალსვენსკა

მიალბი-ნორჩიოპინგი 2:0
ფელკენბერგი-ელფსბორგი 1:3
ჰაკენი-ესტერსტუნდი 2:1

ნორვეგია. ეროტსეჰია

მიონდალენი-სტრომგოდსეტი 3:0
ბრანი-ჰაუგესუნდი 1:2

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

პარმენი, არველოდი და გივი ლემონჯავას ოჯახები თანაგრძნობას უცხადებენ ბიძინას, არნოლდის და ჯანიკო ლემონჯავებს, მათ ოჯახებს და ახლობლებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის და შესანიშნავი ადამიანის

ნაპოლეონ ლემონჯავას

გარდაცვალების გამო

ლემონჯავების საგვარეული ღრმა მწუხარებით იუწყება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის

ნაპოლეონ ლემონჯავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის დიდ ოჯახს და ახლობლებს.

საგვარეულოს წინამძღოლი პარმენი ლემონჯავა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. მინერალური წყალი იმერეთში; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 8. კვების პროდუქტების მწარმოებელი უმსხვილესი ბრიტანული კომპანია; 10. პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე წინ დაყენება; 12. ნორვეგიელი არქეოლოგის მკლევარი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 15. დაბალი, ტკბილი ხმით მღერა; 16. ქართველი კინორეჟისორი.

თარაზულად: 1. პატარა ქვეწარმავალი; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 9. ანგორული თხის მატყლი; 11. ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 13. აზერბაიჯანული მაწონი; 17. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 18. მოთელილი მატყლის ქსოვილი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. კინოცენტრი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ხვიჩია; 12. რაფსოდი; 14. პანედა; 15. აუდი; 17. ქანდა; 18. ეშხი.

თარაზულად: 6. დღეობა; 7. სამანგიო; 8. იგუასუ; 10. ჟესტი; 11. კასკადიორი; 13. აპელაცია; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. ფალსტაფი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჭაღი; 2. შკოდა; 3. გრააღი; 5. ღვინო; 6. მოწამეთა; 8. უსახელაური; 10. დემარში; 12. ქიშმიში; 14. ჭირხლი; 15. ყაბახი; 16. პრადო.

თარაზულად: 1. ჭყვიში; 4. აღდგომა; 7. იკორთა; 9. ლენონი; 11. ჰაჯიბეი; 12. ქობულეთი; 13. მახვში; 17. სტიაუა; 18. პუმა; 19. აშპაშხანა; 20. ლიმონათი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3613

ევრო — 3.9892

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4181

100 რუსული რუბლი — 4.3379

ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისათვის

ჯოშუა კიმიხი ორი თვე ვერ ითამაშებს

მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯოშუა კიმიხმა დორტმუნდის ბორუსიასთან შეხვედრაში საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და დიდი ალბათობით მას საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობა მოუწევს.

ბაიერნმა შეხვედრა 3:2 მოიგო, მაგრამ კიმიხის ტრავმა გუნდისთვის მომავალში სერიოზული დანაკლისი იქნება.

წლევანდელ სეზონს კიმიხი მაღალ დონეზე ატარებს, ისევე, როგორც წინა რამდენიმე სეზონს და გერმანიაში ის თავის პოზიციაზე საუკეთესოდ ითვლება.

ლამპარდი ჩელსის თამაშით კმაყოფილია

ლონდონის ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა, რომ მისი გუნდი სწორი მიმართულებით ვითარდება და ბოლო მატჩებში ეს გამოჩნდა კიდეც. ლამპარდის აზრით, ჩელსიმ კიდევ უფრო უნდა მოუმატოს იმისთვის, რომ მომავალში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს:

– ჩელსიმ საკმაოდ ბევრი სირთულე გამოიარა და დროა, რომ ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ. ბოლო შეხვედრებში კარგი თამაში ვაჩვენეთ და მინდა, რომ ასე გავაგრძელოთ.

რონალდ კუმანი: „ბეტისთან თითქმის უნაკლოდ ვითამაშეთ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა ბეტისთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა თითქმის იდეალური თამაში ჩაატარა და მას მხოლოდ დაცვის მოქმედება ადარდებს.

– შეტევაში შესანიშნავად ვმოქმედებდით და უფრო მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ დაცვაში ისევ ბევრი შეცდომა დავუშვით და ეს უნდა გამოვასწოროთ, – განაცხადა კუმანმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

უიშვიათესი შავი ვეფხვი აღმოაჩინეს

უიშვიათესი შავი ვეფხვი მოხვდა ფოტოაპარატის ობიექტივში ინდოეთის ოდიშის შტატში.

მოყვარულმა ფოტოგრაფმა სუმენ ბაიპაიმ უნიკალური ვეფხვის კადრები იმ დროს გადაიღო, როდესაც ცხოველი წყალსაცავის ნაპირზე მიდიოდა.

ჩვეულებრივ ვეფხვები ნარინჯისფერი შეფერილობის არიან შავი ზოლებით, ეს სახეობა კი, პირიქით, შავი შეფერილობისაა ნარინჯისფერი ზოლებით. ასეთი შეფერილობა გენეტიკური დეფექტის შედეგია, რომელიც მონათესავე ცხოველების შეჯვარების შედეგად წარმოიქმნება. აღსანიშნავია, რომ ასეთი ვეფხვები თანამოძმეებს ზომით ჩამორჩებიან.

ინდოეთის ველური ბუნების ინსტიტუტის ექსპერტმა ბივაშ პანდავმა განაცხადა, რომ მსოფლიოში ასეთი შეფერილობის სულ შვიდი თუ რვა ცხოველია დარჩენილი. ისინი მხოლოდ ოდიშის შტატის ჯუნგლებში ბინადრობენ და გადაშენების პირას იმყოფებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ნოემბრისათვის

ვერძი – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მოხუცმა მებაღემ პატარა ბიჭს ვაშლის ხეზე შეუსწრო და ეუბნება:

– ოხ, შე მაიმუნო, რას აკეთებ ჩემს ვაშლის ხეზე?!

– ძირს ჩამოყრილი ვაშლები ავკრიფე, რომ უკანვე მივამაგრო!

●●●

– რისთვის მოვკალი ის გველეშაპი? – ჩაიბურტყუნა რაინდმა, როდესაც განთავისუფლებული პრინცესას სახე შეათვალიერა, – არადა, როგორი სიმპათიური ცხოველი იყო!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რას მეტყოდი, თუ გაიგებდი, რომ შენს ყველაზე ახლო მეგობართან ვიწექი?

– რას და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ღესბოსელი იყავი.

●●●

ბავშვი გაოცებული უყურებს, როგორ ქანაობს მის საქანელაზე პაპა და ეკითხება:

– რას შვრები, პაპა, არ გადმოვარდე!

– ექიმმა მითხრა, რაც შეიძლება მეტი იმოძრავეო!

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– ცხვირში ნუ იქექები, ტვინი გაგეჩხაპნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„შემოდგომის თბილისი“ იწყება

9 ნოემბრიდან, საქართველოს პირველი არხის ეთერში 28-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ იწყება.

ნოემბრის საღამოს ათასობით მაყურებელს შესაძლებლობა ექნება მოისმინოს მოცარტის „რექვიემი“, რომელიც მსოფლიო პანდემიის მსხვერპლთა ხსოვნას მიეძღვნება.

მოცარტის ნაწარმოებს თბილისის სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა და დირიჟორი ვახტანგ კახიძე წარმოგვიდგენენ.

ფესტივალის გახსნის პირველ კონცერტზე სოლისტები იქნებიან თინათინ მამულაშვილი, ირინე ალექსიძე, ზურაბ ნატროშვილი და გიორგი გოდერძიშვილი.

„შემოდგომის თბილისის“ პარალელური ტრანსლაციის მოსმენა საქართველოს რადიოს ეთერშიც იქნება შესაძლებელი.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „ჩემი ხსენების გაქრობა გინდათ, მაგრამ არ გამოვა“

ასე მიმართავს მომღერალი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი კოლეგებს:

– ჩემს კოლეგებს მივმართავ – ყველაზე კარგად თქვენ იცით, რა კომპოზიტორი ვარ. ის, რომ მე ტელევიზიით არ გამოგყავართ, მოგწონთ თქვენი საქციელი?

არა უშავს, სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც იპოვის, მეც მექნება ჩემი თეატრი, მაგრამ თქვენ ჩემი მეგობრები აღარ იქნებით!

ყველა, ვინც დღეს მოღვაწეობს შოუ ბიზნესში, ჩემი დიდი ხნის მეგობარია. პოლიტიკის გამო რომ დამიკიდეთ, ეს დიდი მარაზმია და დიდი ბოროტება...

ჩემი ხსენების გაქრობა გინდათ, მაგრამ არ გამოვა.

ზურა მანჯავიძე: „ძალაუნებურად მეც კაცთმოძულე გავხდი“

ჯგუფ „ფორტეს“ ერთ-ერთი წევრი, მომღერალი ზურა მანჯავიძე აცხადებს, რომ უარყოფითად დამუხტული გარემოს მსხვერპლია და ძალაუნებურად კაცთმოძულედ იქცა:

– მართალია 7 ნოემბერი მიილია და ეს დღე ძალიან მძიმეა ჩემთვის, ისევე, როგორც უამრავი ადამიანისთვის. მაშინ საქართველოში სიძულვილის ენა და ერთმანეთის აუტანლობა მეფობდა და ამდენი წლის შემდეგაც თუ ისევ ასეთი ზიზღი იბატონებდა ჩვენ ქვეყანაში, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

მეც ამ უარყოფითად დამუხტული გარემოს მსხვერპლი ვარ და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ძალაუნებურად მეც კაცთმოძულე გავხდი და საკუთარ თავში, ხშირად ვერ ვპოულობ ძალას, მიყვარდეს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ვცდილობ. ჩვენი პატარა სამშობლოსთვის, თითოეული ადამიანი ძვირფასია.

ვეცადოთ, ძალიან ვეცადოთ შევიყვაროთ ერთმანეთი!

პაატა გულიაშვილი დააჯილდოვეს

რუსთაველის თეატრის მსახიობი და თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი დააჯილდოვეს.

საქართველოს თეატრალური კავშირის გადაწყვეტილებით, ჯილდო თეატრის ქომაგი მიენიჭა პაატა გულიაშვილს რუსთაველისა და თელავის თეატრებს შორის ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისა და თელავის თეატრის წარმატებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

თამთა გოდუაძემ ახალი კლიპი გადაიღო



საბერძნეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა და ევროვიზია 2019-ზე კვიპროსის წარმომადგენელმა თამთა გოდუაძემ ახალი ვიდეოკლიპი გადაიღო და ინტერნეტშიც განათავსა.

„ჰოლდ ონ“ – ასე ჰქვია მის ახალ სიმღერას, რომელმაც 100 ათასამდე მოწონება და დადებითი კომენტარი ნახვა დააგროვა.

თამთას საბერძნეთში და არა მარტო საბერძნეთში ათასობით გულშემატკივარი ჰყავს. მის შემოქმედებით სიახლეებს მოუთმენლად ელიან მელომანები და თამთას წარმატებებს უსურვებენ.

პანჩო: „არაფერი ამ ქვეყანაზე არ ღირს იმად, რომ ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდეს“

აცხადებს მომღერალი და კომპოზიტორი პანჩო – ლევან მგალობლიშვილი:

– პოლიტიკაზე რა უნდა გითხრათ, ბავშვმაც კი იცის, არა ვარ ვირთხა. დავწერ, ვიმღერებ, სათქმელიც ითქვა, ვინ როგორ გაიგებს, ეს არის კითხვა.

ჩემს სუბიექტურ აზრს ვიტყვი: არაფერი ამ ქვეყანაზე არ ღირს იმად, რომ ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდეს. მნიშვნელობა არ აქვს, ვის როგორი პოლიტიკური შეხედულება აქვს. იმედი მაქვს, გონიერად მივუდგებით და მშვიდობიანად გადავწყვეტთ ყველანაირ პრობლემას.

აჩიკო ნიჟარაძე: „რატომ უნდა იყოს დაშვებული ამდენი ხალხის ქუჩაში შეკრება?“

აინტერესებს მომღერალ აჩიკო ნიჟარაძეს და პასუხს კომპეტენტური პირებისგან ელის:

– ერთი კითხვა მაქვს და იქნება ვინმემ გაგვცეს პასუხი.

რატომ უნდა ვისხდეთ გამოკეტილები სახლში ის ხალხი, ვინც ყველა წესს ვიცავთ და ვემორჩილებით ექიმების მითითებებს, ვუფრთხილდებით სხვა ადამიანების სიცოცხლეს.

პარალელურად, რატომ უნდა იყოს დაშვებული ამდენი ხალხის ქუჩაში შეკრება და მიტინგები პანდემიის დროს, ამას ვერ ვგებულობ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 2. მძაფრი სუნის მქონე ქიმიური ელემენტი, აირი; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 5. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 9. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; 12. რამდენიმე სართულად გამართული თარო; 14. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 15. ფიჯის დედაქალაქი; 17. ავადმყოფური ლტოლვა, მისწრაფება რაიმესადმი; 18. ტბა თბილისში.

თარაზულად: 6. თეთრკანიანისა და ზანგის ქორწინების შთამომავალი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 11. ხის ორი ფირფიტისგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა ესპანური ცეკვების აკომპანიმენტირებისთვის; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამბი; 16. მონებისა და დამნაშავეთა ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 20. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა